პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
20 მაისი
1940 წ.
№ 114 (5815)
ფასი 10 კაპ.

მიმართვა

ქალაქ პეტროზავოდსკის მშრომელთა 25-ათასიანი მიტინგისა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

უდიდესი სიხარულით და აღტაცებით შევხვდით რა ცნობას იმის შესახებ, რომ თქვენ თანხმობა განაცხადეთ კენჭი იყაროთ კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე, ჩვენ, ქალაქ პეტროზავოდსკის მშრომელები, ნორჩი და ბედნიერი რესპუბლიკის მთელი ხალხის სახელით, გულწრფელ და მგზნებარე სალამს გიგზავნით თქვენ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ჩვენს პირველ კანდიდატს.

თქვენი თანხმობით დაკმაყოფილებულია მთელი კარელია-ფინეთის ხალხის მგზნებარე და ერთსულოვანი სურვილი — ჩვენი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში პირველ დეპუტატად ჰყავდეთ თქვენ — მთელი პროგრესიული კაცობრიობის ბელადი, ჩვენი საყვარელი მეგობარი და მასწავლებელი, მსოფლიოში ერთადერთი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედი.

მთელი თქვენი ცხოვრება შესანიშნავი ნიმუშია კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლისა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თქვენი თანამედროვენი ვართ, და ყოველ წუთს მზადა ვართ მთელი ჩვენი ძალ-ღონე და თუ საჭიროება მოითხოვს — სიცოცხლეც შევწიროთ ლენინ-სტალინის საქმეს.

თქვენით აღფრთოვანებულმა, თქვენი სახელით შთაგონებულმა წითელმა არმიამ გაცამტვერა მანერჰაიმის ხაზი, რომელიც მიუვალად ითვლებოდა, უზრუნველჰყო ქალაქ ლენინისა და ჩვენი დიადი სამშობლოს ჩრდილოეთ-დასავლეთი საზღვრების უშიშროება.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებისა და ლენინ-სტალინის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის შედეგად დაიბადა და მოძმე რესპუბლიკათა ოჯახში შევიდა მე-12 საკავშირო რესპუბლიკა—კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკა.

16 ივნისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნების დღეა, მთელი კარელ-ფინელი ხალხის უდიდესი ზეიმის დღეა. ეს არჩევნები ახალ შესანიშნავ ფურცლად შევა კომუნიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში.

ამ დღეს მთელი ჩვენი ხალხი, ხმას მისცემს რა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ვაჟებსა და ქალიშვილებს, ამით ხმას მისცემს მშობლიურ სტალინს.

გაუმარჯოს სრულიად - საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევ ბლოკს!

გაუმარჯოს კარელ-ფინელი ხალხის პირველ კანდიდატს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

(მიღებულია საერთო-საქალაქო მიტინგზე ქალაქ პეტროზავოდსკში 1940 წლის 16 მაისს. მიტინგს დაესწრო 25 ათასი კაცი).

წარმატებით ჩავატაროთ გამოცდები

მაისის მეორე ნახევრიდან ჩვენი სკოლები შევიდნენ სასწავლო წლის უმნიშვნელოვანეს ეტაპში — დაიწყო შემოწმებითი - გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები.

გამოცდებმა უნდა გამოავლინონ საბჭოთა სკოლის მოსწავლეთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული ცოდნის ხარისხი, ნათლად დაგვანახოს, თუ როგორ არიან მოსწავლეები მომზადებულნი შემდგომ კლასებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სკოლებში წარმატებითი მეცადინეობისათვის, თუ როგორ ეუფლებიან ისინი მეცნიერებათა საფუძვლებს.

ამ გამოცდებით აღირიცხება, ჯამდება ჩვენი სკოლის წლიური მუშაობა, მიღწევები, ნაკლოვანებანი და ისახება კონკრეტული ღონისძიებანი მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

წინა წლებთან შედარებით წელს გამოცდები უფრო მომზადებულად და გეგმიანად ტარდება. თუ წინათ მასწავლებლებს თვითონ სახელდახელოდ და ნაუცბათევად უხდებოდათ საგამოცდო პროგრამების შედგენა, წელს ასე არ არის. სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციაში გარკვევით არის ნათქვამი: „არავითარი განსაკუთრებული პროგრამები გამოცდებისათვის არ სდგება. განმეორებისას და გამოცდებისათვის მზადებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს სახელმწიფო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით“.

გამოცდების ჩატარების წესში შეტანილ ამ ცვლილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. იგი უზრუნველჰყოფს მოსწავლეთაგან ცოდნის მოთხოვნის ერთიანობას, ბოლოს უღებს იმ არანორმალურ მდგომარეობას, როცა ზოგჯერ სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებდნენ გამოსაცდელ მოსწავლეებს. ეს ცვლილება ამასთან ერთად აძლიერებს სკოლის მუშაობის კონტროლს, უფრო სწორად წარმართავს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების შემოწმების საქმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა წარმატებულობის შეფასებაში დღემდე მრავალ ნაკლოვანებას აქვს ადგილი. ზოგიერთ სკოლაში შემცირეს მოსწავლეთათვის წაყენებული მოთხოვნები, რის გამო ადგილი ჰქონდა წარმატებულობის მაჩვენებლების ხელოვნურ გაბერვას, ე. წ. პროცენტომანიას. ამის შედეგი ყველაზე უფრო აშკარად უმაღლეს სკოლაში გამოვლინდა. მაგალითად, წელს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხული იყო 556 ფრიადოსანი. ამათ რიცხვში ფრიადოსნობა მხოლოდ 60 კაცმა (16,4 პროცენტმა) შეინარჩუნა. ე. ი. 83 პროცენტზე მეტმა ფრიადოსნის სახელი ვერ გაამართლა.

მოსწავლეთა წარმატებულობის შეფასებისადმი ასეთ მიდგომაში საკმაო დანაშაული განსახკომსაც მიუძღვის. განსახკომმა დღემდის ვერ მისცა ჩვენს სკოლებს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ერთიანი კრიტერიუმი.

17 მაისს გამოცდები დაიწყო საქართველოს, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვ. არაქართულ სკოლებში (რუსული სკოლების გამოკლებით), ხოლო დღეიდან იწყება ქართულ და რუსულ სკოლებშიც. პირველი დღეები მოწმობს, რომ არასაკმაო კონტროლი გამოცდების მიმდინარეობაზე, ყოველდღიური დახმარება, ინსტრუქტაჟი არ ეწევათ მასწავლებლებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომელნიც წელს პირველად ატარებენ გამოცდებს. ეს გარემოება სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლების ხელმძღვანელებს, მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ უკვე დაწყებული გამოცდებით სახელმწიფო ამოწმებს ჩვენი მრავალმილიონიანი ბედნიერი თაობის ცოდნასა და მომზადებას, სახალხო განათლების მთელ სისტემას. ამიტომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მივუდგეთ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებას, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა, თუ ის ამის ღირსი არ არის, თუ მას საფუძვლიანად არ შეუთვისებია მთელი პროგრამა, ყველა საგანი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმათ, ვინც წელს ამთავრებს საშუალო სკოლას. ინსტრუქციის თანახმად, გამოსაშვებ გამოცდებს მე-10 კლასებში ატარებს კომისია, წერითი გამოცდებისათვის თემებს სკოლები სახალხო განათლების ორგანოებისაგან მიიღებენ. საჭიროა სკოლის დირექტორებსა და სახალხო განათლების ორგანოებს მკაცრად მოვთხოვოთ გამოცდების დღემდე საგამოცდო თემებისა და მაგალითების საიდუმლოდ დაცვა.

გამოცდები უნდა მიმდინარეობდეს სავსებით ნორმალურ პირობებში. არავითარ ნერვიულობას, აღელვებას, მოწაფეთა საზოგადოებრივ მუშაობითა და კრებებით გადატვირთვას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოწაფეებისათვის სათანადო მოწმობების დროულად ჩაბარებას. შარშანდელი გამოცდილებიდან ვიცით, რომ ბევრ სკოლაში კურსის დამთავრების მოწმობები დაგვიანებით გასცეს, რამაც ზოგიერთ ახალგაზრდას ხელი შეუშალა მოწყობილიყო იმ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც მას სურდა.

გამოცდები მეტად პასუხსაგები პერიოდია ჩვენი სკოლის ცხოვრებაში. მან ნათლად უნდა დაგვანახვოს, როგორ იზრდება და ვითარდება ჩვენი სკოლა, როგორ იზრდება და ვითარდება მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო ბედნიერი თაობა, თაობა საბჭოთა პატრიოტებისა.

არავითარი ლიბერალიზმი, ობიექტურად მივუდგეთ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას, წარმატებით ჩავატაროთ გამოცდები — ასეთია ახლა სკოლის საბრძოლო ამოცანა.

დამთავრდა კანდიდატთა რეგისტრაცია

პეტროზავოდსკი, 18 მაისი (საკდესი). გუშინ საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაამთავრეს სსრ კავშირისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია.

პოვენეც—ლენინის № 66 საარჩევნო ოლქის კომისიის სხდომაზე კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. მ. ი. კალინინი.

ჩრდილო-მასელის № 70 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიამ კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი.

ვიბორგის რკინიგზის კვანძის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, სამდინარო ნაოსნობისა და კავშირგაბმულობის მუშაკებმა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი ამხ. **ა. ა. ჟდანოვი.** ვიიპურის (ვიბორგის) № 106 საქალაქო სარკინიგზო საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ა. ა. ჟდანოვის კანდიდატურა.

სულ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრირებულია 133 კაცი, ერთი კანდიდატი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოში და 25 კანდიდატი—ეროვნებათა საბჭოში.

კარელია-ფინეთის ხალხს მადლობის წერილები მოსდის დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებისაგან. დღეს მიღებულია წერილი ამხ. ტოივო ანტიკაინენისაგან, რომელიც სწერს:

— გულითადი სალამი მშობლიური კარელია-ფინეთის ხალხს. სულითა და გულით გიძღვნით მადლობას იმისათვის, რომ მე დამასახელეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობას კანდიდატად.

სიტყვას ვაძლევ კარელია-ფინეთის ხალხს, რომ გავამართლებ მის ნდობას და მთელს ჩემს ძალას კომუნიზმის საქმეს მოვახმარ.

გაუმარჯოს კარელია - ფინეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის დევგმირ ხალხს!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრად ამხ. ი. ტ. ტევოსიანის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრად ამხ. ივანე ტოვადროსის-ძე ტევოსიანი და განთავისუფლებულ იქნას იგი სსრ კავშირის გემსაშენი მრეწველობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი კრემლი, 1940 წლის 17 მაისი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის გემსაშენი მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. ი. ი. ნოსენკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სსრ კავშირის გემსაშენი მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. ივანე ისიდორეს-ძე ნოსენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი კრემლი. 1940 წლის 17 მაისი.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამხ. ფ. ა. მერკულოვი განთავისუფლებულია სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან. (საკდესი).

კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების თესლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობათა დაინტერესება ზეთოვან კულტურათა საზოგადოებრივი ნათესების შემდგომი გაფართოებითა და მოსავლიანობის გადიდებით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ დაინერგოს სწორი თესლბრუნვა, — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

1. გაუქმდეს არსებული წესი, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მზესუმზირის სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშება ხდება ამ კულტურის ნათესის გეგმის მიხედვით, და ზეთოვანი კულტურების: სოიის, აბუსალათინის, მდოგვის, საზეთე სელის, რაფსისა და ქუნჯუტის თესლის კონტრაქტაციის სისტემა.

2. დაწესდეს, რომ, 1940 წლის მოსავლიდან დაწყებული, კოლმეურნეობანი ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირა, საზეთე სელი, აბუსალათინი, სოია, მდოგვი, რაფსი და ქუნჯუტი) თესლს სავალდებულო წესით ჩააბარებენ სახელმწიფოს კოლმეურნეობებზე მიმაგრებული თვითეული ჰექტარი სახნავი მიწიდან, რაც გამოიანგარიშება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1940 წლის 11 აპრილს „კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ მიღებული დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად.

3. დაევალოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საკ. კ. პ. (ბ) საოლქო, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, ოლქსა, მხარესა და რესპუბლიკაში სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების სავალდებულო ჩაბარების დაწესებული ნორმების შესაბამისად, დააწესონ კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მზესუმზირის, სოიის, აბუსალათინის, მდოგვის, საზეთე სელის, რაფსისა და ქუნჯუტის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი წლიური ნორმები და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს მიერ ამ ნორმების დამტკიცების შემდეგ გამოაქვეყნონ 1940 წლის 25 მაისისათვის.

რაიონობრივი ნორმების დაწესებისას დროს დაუშვან ნორმის შემცირება ან გადიდება, ხოლო ცალკეული რაიონები და კოლმეურნეობანი სრულიად გაათავისუფლონ იმ ზეთოვანი კულტურების ჩაბარებისაგან, რომლების მოყვანასაც მოცემულ რაიონში ან კოლმეურნეობაში არ მისდევენ, მათი მოყვანის მიზანშეუწონლობის გამო, მაგრამ ისე, რომ სავსებით იქნას დაცული მზესუმზირის, სოიის, აბუსალათინის, მდოგვის, საზეთე სელის, რაფსისა და ქუნჯუტის სავალდებულო ჩაბარების ნორმა, რაც დაწესებულია მთლიანად ოლქის, მხარის, რესპუბლიკისა და ცალკეული რაიონებისათვის.

სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირა, აბუსალათინი, საზეთე სელი, სოია, მდოგვი, რაფსი და ქუნჯუტი) თესლის სავალდებულო ჩაბარების ნორმები იმ კოლმეურნეობათა მიერ, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, უნდა იყოს იმ ნორმებზე 15 პროცენტით მეტი, რაც დაწესებულია იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებსაც მომსახურებას უწევენ ამათუიმ რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

მეთესლეობის კოლმეურნეობები (მეთესლეობის რაიონული მეურნეობები) ზეთოვანი კულტურების თესლს სავალდებულო წესით აბარებენ კულტურების მიხედვით, თესვის გეგმით დაწესებული თვითეული კულტურის ფართობის პროპორციულად.

4. დაწესდეს, რომ, კოლმეურნეობებში ზეთოვანი კულტურების ფაქტიური ნათესისაგან დამოუკიდებლად, კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირა, სოია, აბუსალათინი, მდოგვი, საზეთე სელი, რაფსი და ქუნჯუტი) თესლის სავალდებულო ჩაბარების ოდენობა, გამოანგარიშებული ნახნავის მიხედვით ამ დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, — უცვლელი რჩება.

5. კოლმეურნე კომლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა და კოოპერირებულმა შინამრეწველებმა, რომელთაც მოეპოვებათ ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირა, სოია, აბუსალათინი, მდოგვი, საზეთე სელი, რაფსი და ქუნჯუტი) ნათესები, სახელმწიფოს სავალდებულო წესით უნდა ჩააბარონ ზეთოვანი კულტურების თესლი ფაქტიური ნათესის ფართობიდან ჩაბარების ნორმის მიხედვით თითო ჰექტარზე: მზესუმზირა — 2 ცენტნერი, რაფსი — 2 ცენტნერი, მდოგვი — 1,5 ცენტნერი, აბუსალათინი — 1 ცენტნერი, სოია — 1 ცენტნერი, საზეთე სელი — 1 ცენტნერი, ქუნჯუტი — 0,5 ცენტნერი.

ერთპიროვნულმა მეურნეობებმა და არაკოოპერირებულმა შინამრეწველებმა, რომელთაც მოეპოვებათ ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირა, სოია, აბუსალათინი, მდოგვი, საზეთე სელი, რაფსი, ქუნჯუტი) ნათესები, სახელმწიფოს სავალდებულო წესით უნდა ჩააბარონ ზეთოვანი კულტურების თესლი ფაქტიური ნათესის ფართობიდან ჩაბარების ნორმის მიხედვით თითო ჰექტარზე: მზესუმზირა — 3 ცენტნერი, რაფსი — 3 ცენტნერი, მდოგვი — 2,1 ცენტნერი, აბუსალათინი — 1,5 ცენტნერი, სოია — 1,5 ცენტნერი, საზეთე სელი — 1,5 ცენტნერი, ქუნჯუტი — 1 ცენტნერი.

6. დაწესდეს 1940 წლისათვის სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების თესლის სავალდებულო ჩაბარების წლიურ ვალდებულებათა შესრულების შემდეგი კალენდარული ვადები წლიური გეგმის პროცენტობით:

I. მზესუმზირისა

ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები	კოლმეურნეობათა მიერ			ერთპიროვნულ მეურნეობათა, კოლმეურნე კომლთა, შინამრეწველთა, მუშათა და მოსამსახურეთა მიერ, რომელთაც აქვთ მზესუმზირის ნათესები	
	სექტემბერში	ოქტომბერში	ნოემბერში	სექტემბერში	ოქტომბერში
I					
ჩელიაბინსკის, ომსკის, ნოვოსიბირსკის ოლქები; ალტაის, კრასნოიარსკის მხარეები; ყირგიზეთის, ყაზახეთის სსრ	10	60	30	50	50
II					
ბაშკირეთის, თათრეთის ასსრ; ვორონეჟის, ტამბოვის, რიაზანის, პენზის ოლქები	20	55	25	65	35
III					
კურსკის, ჩკალოვის, როსტოვის, კუიბიშევის, სარატოვის, სტალინგრადის ოლქები; ყირიმის, მორდვეთის, ყალმუხეთის, ჩაჩნეთ - ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, დაღესტნის, ვოლგისპირა გერმანელთა ასსრ; ორჯონიკიძის, კრასნოდარის, ხაბაროვსკის მხარეები; აზერბაიჯანის, საქართველოს და უკრაინის სსრ	30	70	—	75	25

II. საზეთე სელისა

ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები	კოლმეურნეობათა მიერ				ერთპიროვნულ მეურნეობათა, კოლმეურნე კომლთა, შინამრეწველთა, მუშათა და მოსამსახურეთა მიერ, რომელთაც აქვთ საზეთე სელის ნათესები		
	აგვისტოში	სექტემბერში	ოქტომბერში	ნოემბერში	აგვისტოში	სექტემბერში	ოქტომბერში
I							
როსტოვის, სტალინგრადის, სარატოვის ოლქები; ორჯონიკიძის მხარე; ყირიმის ასსრ და უკრაინის სსრ	20	40	40	—	40	60	—
II							
ყველა დანარჩენი რესპუბლიკა, მხარე და ოლქი	—	40	40	20	—	60	40

III. მდოგვისა

ოლქები, მხარეები, და რესპუბლიკები	კოლმეურნეობათა მიერ				ერთპიროვნულ მეურნეობათა, კოლმეურნე კომლთა, შინამრეწველთა, მუშათა და მოსამსახურეთა მიერ, რომლებსაც აქვთ მდოგვის ნათესები		
	ივლისში	აგვისტოში	სექტემბერში	ოქტომბერში	ივლისში	აგვისტოში	სექტემბერში
I							
როსტოვის, სტალინგრადის, სარატოვის ოლქები; ორჯონიკიძის მხარე; ვოლგისპირის გერმანელთა ასსრ	20	50	30	—	50	50	—
II							
ყველა დანარჩენი რესპუბლიკა, მხარე და ოლქი	—	40	40	20	—	60	40

IV. აბუსალათინის, სოიას, ქუნჯუტისა და რაფსისა — კოლმეურნეობათა მიერ, აგრეთვე ამ კულტურათა ნათესების მქონე ერთპიროვნულ მეურნეობათა, კოლმეურნე კომლთა, შინამრეწველთა, მუშათა და მოსამსახურეთა მიერ

კულტურები	ივლისში	აგვისტოში	სექტემბერში	ოქტომბერში	ნოემბერში	დეკემბერში
აბუსალათინი	—	10	60	30	—	—
სოია	—	—	—	30	50	20
ქუნჯუტი	—	—	—	40	60	—
რაფსი	50	50	—	—	—	—

7. ზეთოვან კულტურათა ჩამბარებლებს უფლება მიენიჭოთ შეცვალონ მზესუმზირისა და რაფსის თესლი ერთი კულტურა მეორით — ცენტნერი ცენტნერში ან ცენტნერი მზესუმზირა და რაფსი — 20 კილოგრამი ქუნჯუტის თესლით, 30 კილოგრამი საზეთე სელის თესლით, 50 კილოგრამი სოიის თესლით, 50 კილოგრამი აბუსალათინის თესლით, 70 კილოგრამი მდოგვის თესლით.

სოია, აბუსალათინი, მდოგვი, ქუნჯუტი და საზეთე სელი არ შეიძლება შეცვლილ იქნას სხვა კულტურებით.

8. მიღებულ იქნას კოლმეურნეობებისაგან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესრულების ხარჯზე აბუსალათინის, ქუნჯუტისა და საზეთე სელის თესლი შემდეგი ანგარიშით: ერთი ცენტნერი აბუსალათინი, ქუნჯუტი და საზეთე სელი ორ ცენტნერ მარცვალში.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესრულების შემდეგ მიეცეს კოლმეურნეობებს „ზაგოტზერნოს“ პუნქტებიდან მათ მიერ სავალდებულო წესით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ აბუსალათინის, ქუნჯუტისა და საზეთე სელის თესლში ორი ცენტნერი მარცვალი.

9. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებს მომქმედ შეღავათიან ფასად მიეცემათ თითო კილოგრამი მცენარეული ზეთი და ორ-ორი კილოგრამი კოპტონი მათ მიერ სავალდებულო წესით ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერ მზესუმზირის, სოიის, მდოგვის, საზეთე სელის, რაფსისა და ქუნჯუტის თესლში.

10. დაწესდეს, რომ სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირის, საზეთე სელის, აბუსალათინის, სოიის, მდოგვის, რაფსისა და ქუნჯუტის) თესლის სავალდებულო წესით ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან ის მეურნეობანი, რომლებიც თავისუფლდებიან მარცვლეულისა და ბრინჯის ჩაბარებისაგან „კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 11 აპრილის დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად.

11. სახელმწიფოსათვის ზეთოვან კულტურათა თესლის ჩაბარების დარგში ამ დადგენილებით დაწესებულ ვალდებულებათა შესრულება ყოველი კოლმეურნეობისა და ერთპიროვნული მეურნეობის პირველი რიგის მოვალეობაა და შესრულებულ უნდა იქნას პირველი განაღდებით, ამასთან ვალდებულებათა განზრახ შეუსრულებლობა დაისჯება კანონით.

12. დაწესდეს, რომ ზეთოვან კულტურათა თესლის იმ ჩამბარებლებს, რომლებმაც სავალდებულო ჩაბარება დაწესებულ ვადებში არ შეასრულეს, გადახდებათ შეუსრულებელი ნაწილი მარცვლეული კულტურებით შემდეგი ეკვივალენტების მიხედვით:

ცენტნერ მზესუმზირის თესლში ცენტნერ რაფსის თესლში ცენტნერ მდოგვის თესლში ცენტნერ აბუსალათინის თესლში	3 ცენტნერი მარცვლეული
ცენტნერ საზეთე სელის თესლში ცენტნერ სოიის თესლში	4 ცენტნერი მარცვლეული კულტურები
ცენტნერ ქუნჯუტის თესლში	5 ცენტნერი მარცვლეული კულტურები

ზეთოვან კულტურათა თესლის მთელი ნამატი, სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, რჩება კოლმეურნეობათა, კოლმეურნე კომლთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა სრულ განკარგულებაში.

13. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და დამამზადებელ ორგანოებს უთუოდ ეკრძალებათ დააკისრონ კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს ზეთოვან კულტურათა თესლის ჩაბარების ისეთი ვალდებულებანი, რომლებიც ჰექტარობრივ ნორმებს აღემატებიან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1940 წლის 17 მაისი.

გამოვასწოროთ ჩამორჩენა კომბაინების რემონტში

წელს საქართველოში მოსავლის აღებაზე უნდა იმუშაოს 488 კომბაინმა. ამ კომბაინებით აღებულ უნდა იქნას თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი 113.000 ჰექტარზე. მზესუმზირასი—8.000 ჰექტარზე.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით მთელმა რიგმა მტს-ებმა ფართოდ გაშალეს რა სოცშეჯიბრება, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საფუძველზე კომბაინები ვადაზე ადრე შეაკეთეს. მაგალითად, ლუქსემბურგის მტს-მა, ნაცვლად 10 მაისისა, რემონტი 20 იანვარს დაამთავრა. ულიანოვკის მტს-მა გეგმით გათვალისწინებული 27 კომბაინი, ნაცვლად 10 მაისისა 1 მაისისათვის შეაკეთა.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. მიუხედავად იმისა, რომ მტს-ებს დროულად მიეთითათ კომბაინების რემონტი ტრაქტორების რემონტის დამთავრებისთანავე დაეწყოთ, ეს დავალება ყველგან არ გაითვალისწინეს. ამის შედეგია, რომ 32 მტს-დან, რომლებსაც კომბაინები უნდა შეეკეთებინათ, უკანასკნელი ვადისთვისაც (15 მაისი) 14 მტს-ს გეგმა არ შეუსრულებია, მაგალითად: გორის, ბოგდანოვკის, ოსიაურის, სტალინირის, თბილისის, თელეთის, დუშეთის, საგარეჯოს, სართიჭალის, ბორჩალოს, სადახლოს, წითლის, ყვარლისა და ასურეთის მტს-ებს.

ბოგდანოვკის, გორისა და დუშეთის მტს-ებს კომბაინების რემონტი ჯერ არც კი დაუწყიათ, ოსიაურის მტს-ს კი გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 37,5 პროცენტით, სტალინირისას—33,3-ით, თელეთისას—58,3-ით, საგარეჯოსას—42,9-ით, სართიჭალისას—33,3-ით, ბორჩალოსას — 52,4-ით, სადახლოსას—66,7-ით, წითლისას—26,3-ით, ყვარლისას—57,9-ით და ასურეთისას—85,7 პროცენტით. სულ საქართველოში რემონტისათვის გათვალისწინებული 415 კომბაინიდან, მიწსახკომის ცნობით 15 მაისს შეკეთებული იყო 274 კომბაინი—გეგმის 66 პროცენტი.

მიუხედავად იმისა, რომ ბორჩალოს, სადახლოსა და ყვარლის მტს-ებს რემონტის ვადა 5 მაისს გაუთავდათ, პირველში დღესაც შეუკეთებელია 10 კომბაინი, მეორეში—4, ხოლო მესამეში—8 კომბაინი.

ქუთაისის რაიონმა შეასრულა თესვის გეგმა

ქუთაისის რაიონმა 15 მაისისათვის შეასრულა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა,—მარცვლოვანი კულტურები, ნაცვლად გათვალისწინებული 9.100 ჰექტარისა, დასთესა 9.113 ჰექტარზე, არახისი—820 ჰექტარზე (100 პროც.), ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები—651 ჰექტარზე (100 პროც.), კარტოფილის თესვის გეგმა შეასრულა 118 პროცენტით, ვენახის მყნობის გეგმა—100 პროცენტით, გაშენებისა—185 პროცენტით.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი ბაბრიაძე.

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მაღლაფერიძე.

ომი დასავლეთ ევროპაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 19 მაისი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის ჯავშან-სატანკო შენაერთებმა მოახერხეს მაასის დასავლეთით გაერღვიათ საფრანგეთის სანაპირო სიმაგრეები. ისინი მისდევენ უკანდახეულ მტერს მდინარე სამბრისა და უაზის სათავეებს იქით, წაიწიეს წინ დაახლოებით 100 კილომეტრ მანძილზე სედანის ჩრდილო-დასავლეთით და სომას უახლოვდებიან. რეიტერის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის წრეები მაასთან მომხდარ ახლანდელ ბრძოლას ადარებენ პირველ მსოფლიო ომის დროს ვერდენთან მომხდარ ბრძოლას და ფიქრობენ, რომ ეს ბრძოლა გაგრძელდება კიდევ დღეებისა თუ კვირების განმავლობაში ცვალებადი წარმატებით. გერმანიაში კი ფიქრობენ, რომ საომარი მოქმედება უფრო სწრაფი ტემპით იწარმოებს.

ტრანსოცეანის სააგენტო გადმოგვცემს, რომ რეტელთან (საფრანგეთი) მდებარე ფრონტის უბანზე საფრანგეთის ჯარების წინანდელი სარდალი გადააყენეს და ახალი დანიშნეს.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ელზასში ფრანგები განაგრძობენ აფეთქების წარმოებას, რის შედეგადაც ბაზელსა და მიულჰაუზენს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა. საფრანგეთის მესანგრეთა ჯარებმა სან-ლუიში ააფეთქეს ელზასის რკინიგზის ხიდი საფრანგეთ-შვეიცარიის საზღვართან.

მოკავშირეთა ცნობები

პარიზი, 19 მაისი (საკდესი). გუშინ საღამოს ოფიციალურად იუწყებოდნენ: „ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში წინანდებური ძალით გრძელდებოდა. ბრძოლა უმთავრესად იყო გიუიზისა და ლანდრესის რაიონში, სადაც მოწინააღმდეგე მიუხედავად მნიშვნელოვანი ზარალისა, უტევს დასავლეთის მიმართულებით. დანარჩენ ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა და საზენიტო არტილერიამ მტრის მრავალი თვითმფრინავი ჩამოაგდეს“.

დღევანდელ დილის კომუნიკეში ნათქვამია: „ბრძოლა გრძელდება იმავე რაიონებში წინანდებული გააფთრებით. ჩვენმა ავიაციამ ღამით ყუმბარები დაუშინა მოწინააღმდეგის ზურგს“.

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო პარიზიდან გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის განცხადებით, „მდინარე სამბრასა და რეტელს შორის მდებარე ფრონტზე გუშინ მთელ დღეს გრძელდებოდა ბრძოლა ავენის რაიონში, რომელიც საომარი ოპერაციების ცენტრია, აგრეთვე ვერვენის რაიონში. შესაძლებელია, რომ ამის შედეგად გერმანელთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ ორივე რაიონში“.

ინგლისის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ „გერმანელთა ჯარის ნაწილების ძლიერი მოძალების მიუხედავად, დასავლეთის ფრონტზე მოქმედი ინგლისელთა ჯარები 18 მაისს მტკიცედ ინარჩუნებდნენ მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს“.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობით, ინგლისის თვითმფრინავებმა დასავლეთ გერმანიაზე თავდასხმის დროს ყუმბარები დაუშინეს ბენზინსაცავებს ჰამბურგსა და ბრემენში. რამდენიმე ბენზინსაცავი განადგურებულ იქნა, სხვები დიდად დაზიანდა. 17 მაისს ღამით ინგლისის ავიაციამ ნამიურის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში ყუმბარები დაუშინა გერმანიის აეროდრომებს და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხა გერმანელთა ტრანსპორტს, რომელზედაც დიდძალი საწვავი მასალა იყო.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჰაერში გერმანელთა უპირატესობის შედეგად ინგლისის ავიაციას დიდი ზარალი მოუვიდა იმ ოპერაციების პირველი კვირის განმავლობაში, რომლებიც დაიწყო ბელგიასა და ჰოლანდიაში გერმანელთა ჯარების შესვლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ინგლისის ავიაციამ სავსებით შეინარჩუნა თავისი ბრძოლისუნარიანობა. 18 მაისს საჰაერო ბრძოლებში მდინარე სამბრას სამხრეთით განადგურებულია 25-მდე გერმანელთა თვითმფრინავი.

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). პრესა არ ჰფარავს, რომ შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებით სერიოზულია.

„დეილი მეილის“ ცნობით ფრანგებისათვის სავსებით მოულოდნელი იყო გერმანელთა იერიშის მიმართულება და სიძლიერე, აგრეთვე გერმანელთა იმ ახალი ტანკების რაოდენობა და სიმძლავრე, რომელთა მოქმედებამაც მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი ფრანგების თავდაცვითი პოზიციების გარღვევას შარლერუას სამხრეთით.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ბელგიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ბელგიის ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები ფრონტის მთელ რიგ პუნქტებში, კერძოდ ანტვერპენის პროვინციაში.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბელგიის სიმაგრეები ლიეჟი და ნამიური ჯერ კიდევ უმაგრდებიან მოწინააღმდეგეს.

რეიტერის სააგენტო დასავლეთის ფრონტზე წარმოებული საომარი ოპერაციების შესახებ

ლონდონი, 17 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს ნაშუადღევს ინგლისის ავტორიტეტულ წრეებში მიღებული ცნობების თანახმად, დასავლეთის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა სერიოზულად მიაჩნიათ. აღნიშნულია, რომ გერმანიის მექანიზებულმა დივიზიებმა გაარღვიეს საფრანგეთის ხაზები და განსაზღვრულ მანძილზე შეიჭრნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე. აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში თვით მაჟინოს ხაზი კი არ გაურღვევიათ, არამედ გარღვეულია თავდაცვის ზოლი, რომელიც საფრანგეთ-ბელგიის საზღვრის გასწვრივ მიდის და რომელიც აშენებული იყო მხოლოდ უკანასკნელი წლის განმავლობაში. გერმანელების მიერ გარღვეული ფრონტის სიღრმე ამჟამად გადიდდა. როგორც აღნიშნავენ, გერმანიის ჯარის წარმატება უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გერმანელები შეტევის ახალ ტექნიკას იყენებენ. ეს ტექნიკა იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელები იყენებენ მძიმე ტანკებს, რომლებიც მოპიკირე ყუმბარმშენების დახმარებით მოქმედებენ.

რეიტერის სააგენტოს ცნობაში აღნიშნულია, რომ ინგლისის ავიაციამ „დაამტკიცა, რომ იგი გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებზე უკეთესია, რომ გერმანელი თვითმფრინავები ერიდებიან უშუალოდ შეტაკებას ინგლისის ავიაციასთან“.

ინგლისის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ: თუმცა გერმანელებმა ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი ტერიტორია, მაგრამ ბრძოლა ამჟამად მხოლოდ პირველ სტადიაში იმყოფებაო. გერმანელთა იერიშების შემდგომი მიმართულება გამორკვეული არ არის. შესაძლოა, რომ ეს იერიშები მიიტანონ ჩრდილოეთ-დასავლეთით, რათა გადასჭრან მოკავშირეთა კომუნიკაციები, ანდა სამხრეთ-დასავლეთით. ამჟამად საბრძოლო ოპერაციების რაიონში იმ ფრონტის ორივე ფლანგზე, რომელიც გერმანელებმა გაარღვიეს, თავს იყრიან საფრანგეთის შეიარაღებული ძალების რეზერვები. ფიქრობენ, რომ გერმანიის მოტორიზებულმა დივიზიებმა უკვე დახარჯეს საწვავი მასალის მარაგი. ინგლისის ავტორიტეტულ წრეების აზრით, ჰოლანდიის არმიამ ჯერ კიდევ კაპიტულაციამდე დახარჯა თავისი საწვავი მასალის მარაგის ხუთი მეექვსედი.

საომარი მდგომარეობა პარიზის რაიონში

პარიზი, 17 მაისი (საკდესი). დღეს დილით საფრანგეთის გაზეთმა „ჟურნალ ოფისიელმა“ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლის თანახმად პარიზი და პარიზის რაიონი 17 მაისიდან გამოცხადებულია სამხედრო ზონად.

რეინოს სიტყვის შემდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ „ძირგამომთხრელი მოღვაწეობის ყოველგვარი აქტისათვის სასჯელი იქნება სიკვდილი“, პარიზში დღედაღამ ჩხრეკა-დაპატიმრებაა, განსაკუთრებით მონმარტში, მონპარნასში, დიდ ბულვარებზე და სხვაგან — იმ უბნებში, რომლებსაც უცხოელები ეტანებიან.

ამას გარდა, პოლიცია ბინებს სჩხრეკავს. ყველა უცხოელი პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. გრძელდება პარიზის პოლიციის ავტომატიური იარაღით შეიარაღება.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობა

ნიუ-იორკი, 17 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიურმა მისიებმა ბუდაპეშტში ურჩიეს ინგლისისა და საფრანგეთის მოქალაქეებს დაუყოვნებლივ დასტოვონ უნგრეთი.

იტალიელების დაპატიმრება მალტის კუნძულზე

რომი, 17 მაისი (საკდესი). ყველა იტალიური გაზეთი მსხვილი შრიფტით ბეჭდავს სირაკუზიდან (სიცილიის კუნძული) მიღებულ დეპეშას, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მალტის კუნძულზე დააპატიმრეს იტალიელი მოსახლეობის ყველა გამოჩენილი წარმომადგენელი.

ჩერჩილი პარიზს ჩავიდა

ლონდონი, 17 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ჩერჩილი პარიზში იყო, სადაც ეთათბირა რეინოს, დალადიესა და გამელენს.

რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება

ბერლინი, 18 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს რუმინეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად ყველა უცხოელმა, რომელიც რუმინეთში 1939 წლის პირველ სექტემბრის შემდეგ არის ჩასული ა. წ. 30 მაისამდე უნდა დასტოვოს რუმინეთი. ის უცხოელები, რომლებიც ამ განკარგულებას არ შეასრულებენ, ინტერნირებული იქნებიან.

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

პარიზი, 17 მაისი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პარიზის სამხედრო ტრიბუნალმა რამდენიმე კომუნისტს მიუსაჯა 5 წლის პატიმრობა და 5.000 ფრანკით დაჯარიმება „კომუნისტური ორგანიზაციის აღდგენისათვის“.

რუზველტის გამოსვლა

ვაშინგტონი, 17 მაისი (საკდესი). რუზველტმა კონგრესზე სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც მოუწოდებდა კონგრესს დაემტკიცებინა ძალზე დიდი სამხედრო ხარჯები. მან აღნიშნა: უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი თვალსაზრისი ნაციონალურ თავდაცვის საკითხში“.

„ეს დაცვა, — სთქვა რუზველტმა, — ყველაზე მეტად ახლა მოითხოვს, რომ ისეთი საშუალებანი გვქონდეს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ უდიდეს მობილობას თანამედროვე თავდასხმის არაჩვეულებრივ სისწრაფესთან დაკავშირებით. ატლანტისა და წყნარი ოკეანე სამართლიანად ითვლებოდა საკმარის თავდაცვით ბარიერებად, როცა ფლოტს საათში საშუალოდ 5 მილის გავლა შეეძლო. მტერს მაშინაც კი შეეძლო ჩვენი დედაქალაქის დაწვა უეცარი თავდასხმის გზით. უფრო გვიან ოკეანეები ჯერ კიდევ აძლიერებდნენ ჩვენს თავდაცვას, როცა ფლოტებს საათში 15-20 მილის გავლა შეეძლოთ. მაგრამ ახალი ელემენტი — ავიაცია — შესაძლებელს ხდის, რომ თავდაცვა მოეწყოს საათში 200-300 მილის სისწრაფით. გარდა ამისა, ავიაცია უზრუნველჰყოფს იმ უახლოესი ბაზების გამოყენების ახალ შესაძლებლობას, საიდანაც შეუძლიათ თავს დაესხნენ ამერიკის კონტინენტს. გრენლანდიის ფიორდებიდან ნიუფაუნდლენდამდე სულ 4 საათის საფრენია, ახალი შოტლანდიის, ნიუ-ბრუნსვიკისა და კვებეკის (კანადა) პროვინციებამდე 5 საათის საფრენია, ხოლო ახალი ინგლისის შტატებამდე ფრენას მხოლოდ 6 საათი ესაჭიროება. აზორის კუნძულები ჩვენი აღმოსავლეთი სანაპიროებისაგან მხოლოდ 2.000 მილზე მდებარეობს. ბერმუდის კუნძულები რომ მტერმა ხელთ იგდოს, თანამედროვე ყუმბარმშენებს შეუძლიათ 3 საათზე ნაკლები ხნის განმავლობაში მოფრინდნენ ჩვენს ნაპირებთან. ვესტ-ინდოეთში მდებარე სხვა ბაზებიდან ფლორიდის შტატის სანაპირომდე მოფრენა 3½ საათის განმავლობაში შეიძლება“.

უკანასკნელი რამდენიმე კვირის ამბებმა, — განაგრძობდა რუზველტი, — ნათლად დაგვანახვეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „უნდა მოეპოვებოდეთ სამხედრო საშუალებანი, რათა მოვიგერიოთ ყოველი ელვისებრი თავდასხმა ჩვენს ამერიკის ტერიტორიაზე. ეს იმასაც ნიშნავს, რომ იარაღისა და სამხედრო საჭურვლის დამზადება უნდა დაჩქარდეს. თავდაცვა, რომელიც ვერ უზრუნველჰყოფს მტრის მომარაგების ხაზისა და კომუნიკაციების დანგრევის ეფექტურ ღონისძიებას, თავის თავს ვერ ამართლებს. ეფექტიური თავდაცვა მოითხოვს, რომ მზად ვიყოთ აგრესორზე თავდასხმისათვის, მანამდე სანამ იგი ძლიერ ბაზებს შექმნიდეს იმ ტერიტორიაზე, სადაც ამერიკას სასიცოცხლო ინტერესები აქვს“.

შემდეგ რუზველტმა წინადადებით მიმართა კონგრესს იმის შესახებ, რომ ხელი შეეწყოს უცხო სახელმწიფოსათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში დამზადებული თვითმფრინავების მიწოდებას, და მოუწოდა გადიდებული იქნას საავიაციო ქარხნების საწარმოო სიმძლავრე, რათა თვითმფრინავების გამოშვება გადიდებულ იქნას წელიწადში 50 ათასამდე. მან კონგრესს სთხოვა დაუყოვნებლივ გამოჰყოს არმიის საჭიროებისათვის 546 მილიონი დოლარი, ფლოტის საჭიროებისათვის — 250 მილიონი დოლარი და „საგანგებო გარემოებათა შემთხვევისათვის, რომლებიც შეეხებიან ნაციონალურ უშიშროებას“, შექმნას სპეციალური საპრეზიდენტო ფონდი 100 მილიონი დოლარის რაოდენობით. რუზველტმა კონგრესს სთხოვა აგრეთვე მოიწონოს 186 მილიონი დოლარის სამხედრო საჭურვლის კონტრაქტები და ნება დართოს მას დასდოს კიდევ 100 მილიონ დოლარის კონტრაქტები. რუზველტმა აღნიშნა: ჩემს მიერ გამოთხოვილი მთელი სახსრები იმ ასიგნობათა დამატებას წარმოადგენენ, რომლებიც გათვალისწინებულია 1941 წლისათვისო.

ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ომი

ნიუ-იორკი, 17 მაისი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები შეშფოთებული არიან იმით, რომ გერმანიის შეტევამ საფრთხეში ჩააგდო მოკავშირეები. ამის შედეგად ამერიკის კონგრესში კვლავ იხილავენ საკითხს მოკავშირეებისათვის სესხის მიცემის შესაძლებლობის შესახებ. ასეთი სესხის მიცემას შედეგად უნდა მოჰყვეს ეგრედწოდებული ჯონსონის კანონის და ამერიკის ნეიტრალიტეტის კანონის გაუქმება. წარმომადგენელთა პალატის წევრმა ბალუინკლმა შეიტანა კანონპროექტი კანონის ნაწილობრივ გაუქმების შესახებ, რათა ამგვარად შესაძლებელი გახდეს მისცენ ინგლისსა და საფრანგეთს კრედიტები იმისათვის, რომ მათ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეისყიდონ სხვადასხვა მასალა, რომელიც უშუალოდ საომარ მასალას არ წარმოადგენს.

ეხება რა სენატორ ჯონსონის გამოსვლას, რომელმაც გაილაშქრა ამ კანონში რაიმე შესწორების შეტანის წინააღმდეგ, რადგან „ამერიკელთა გული იქ არის, სადაც მათი ფულია“, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ „წარსულ იმპერიალისტურ ომში ამერიკის შეერთებული შტატები ინგლის-საფრანგეთის კრედიტების დასაცავად ჩაერივნენ“.

ამერიკის საელჩომ თურქეთში წინადადება მისცა ამერიკელ მოქალაქეებს დაბრუნდნენ სამშობლოში

ლონდონი, 18 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო სტამბოლიდან იუწყება, რომ თურქეთში აკრედიტებულმა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და საკონსულომ წინადადება მისცეს თურქეთში მყოფ ამერიკელ მოქალაქეებს დაბრუნდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა წინადადებას აძლევს თავის ქვეშევრდომთ დაბრუნდნენ ამერიკაში

ლონდონი, 17 მაისი (საკდესი). გაზეთ „დეილი ექსპრესის“ ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა (საგარეო საქმეთა სამინისტრომ) გუშინ გამოაქვეყნა საერთო გაფრთხილება ევროპაში მცხოვრები ყველა ამერიკელისადმი, რომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის 21 რესპუბლიკა შეუერთდა ურუგვაის წინადადებას

ნიუ-იორკი, 18 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო მონტევიდეოდან იუწყება, ურუგვაის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ამერიკის 21 რესპუბლიკა დაეთანხმა ურუგვაის წინადადებას — განცხადებულ იქნას ამერიკის ქვეყნების გაერთიანებული პროტესტი „ბელგიასა, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგში გერმანიის შეჭრის“ წინააღმდეგ.

ინგლისის კომპარტიის განცხადება

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ლეიბორისტთა ბორნემუტის კონფერენციის გადაწყვეტილებები ყველაზე უფრო რეაქციულია ინგლისის მუშათა მოძრაობის არსებობის მთელი დროის განმავლობაში. ეს გადაწყვეტილებანი საფრთხეს წარმოადგენენ მუშათა კლასისათვის. კონფერენციამ დაგვანახვა, რომ ლეიბორისტთა პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობა წამყვან როლს ასრულებს იმპერიალისტურ ომში. ბორნემუტის კონფერენციამ ოფიციალურად აღნიშნა ლეიბორისტთა პარტიის გადასვლა იმპერიალისტური ომის დაცვის პოზიციებზე. „მუშათა კლასი, — ნათქვამია განცხადებაში, — უნდა ებრძოლოს ამ პოლიტიკას და ლეიბორისტთა პარტიის ხელმძღვანელობას, რათა მოსპობისაგან იხსნას მუშათა მოძრაობა, და მან პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ინგლისელი ხალხის ხელმძღვანელობისათვის“. კომპარტია თავის განცხადებაში მოითხოვს ბრძოლას ლეიბორისტთა პარტიის პოლიტიკასა და ხელმძღვანელობასთან და ერთიანობის დაცვას მუშათა ყველა ორგანიზაციაში.

მდგომარეობა ნორვეგიაში

ლონდონი, 18 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს რადიოთი, ინგლისის სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯარი ნარვიკის მახლობლად განაგრძობს წარმატებითს წინსვლას ვიერკვიკის რაიონში; დაკავებულია რომბაკ-ფიორდის ჩრდილოეთი სანაპირო. მტრის რაზმები უკან იხევენ აღმოსავლეთისაკენ შვეციის საზღვრის მიმართულებით. მუს რაიონში ინგლისის ჯარმა ჩამოაგდო მტრის 20 თვითმფრინავი.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის ფრონტზე გააფთრებული ბრძოლების შედეგად ნორვეგიამ თავისი მნიშვნელობა დაჰკარგა, ინგლის-საფრანგეთის ჯარი განაგრძობს მიძალებას ნარვიკზე. გერმანიის თვითმფრინავები ყუმბარებს უშენენ ინგლის-საფრანგეთის ჯარების განლაგებას. დასავლეთის ფრონტზე არსებულ პირობებში შეუძლებელია ნორვეგიაში დიდი ძალების დატოვება. მაგრამ როგორც ფიქრობენ, ინგლის-საფრანგეთის ჯარების რაოდენობა ნარვიკის რაიონში სავსებით საკმაოა იმისათვის, რომ ეს ქალაქი ავიღოთ და შევინარჩუნოთ.

საფრანგეთის მთავრობის სამზადისი ბორდოს გადასასვლელად

ბერლინი, 19 მაისი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო ირუნიდან (ესპანეთი) გადმოგვცემს, რომ ჩამოსულთა განცხადების თანახმად პარიზში სწარმოებს მზადება ბორდოში საფრანგეთის მთავრობის გადასვლისათვის. საფრანგეთის მთავრობა ბორდოში უკვე გადავიდა 1914 წელს, როდესაც გერმანიის არმიები პარიზს უტევდნენ. ბორდოს საზოგადოებრივ შენობებს, სკოლებსა და ყაზარმებს ამზადებენ სამინისტროების მოსათავსებლად. გუშინ გაურკვეველი მიზნით ზღვაში გავიდა ინგლისის გემი 600 ფრანგი და უცხოელი ლტოლვილით. როგორც იუწყებიან, ლტოლვილებს გარდა ამ გემზე არის საფრანგეთის ბანკებიდან წაღებული დიდძალი ოქრო, რომელიც ნიუ-იორკს იგზავნება.

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობა

კიევი, 17 მაისი (საკდესი). უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობის დილის სხდომა დღეს გაიხსნა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის თავმჯდომარეობით.

ყრილობამ მქუხარე ტაშით ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

ამხ. ზადიონჩენკოს წინადადებით ერთსულოვნად იქნა დამტკიცებული ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ყრილობა გადადის უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნებზე.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობისა და კანდიდატობის, აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატურათა დასახელებისა და განხილვის შემდეგ ყრილობა შეუდგა ფარულ კენჭისყრას.

კიევი, 17 მაისი (საკდესი). საღამოს სხდომის დაწყებისას ყრილობაზე ხდებოდა ფარული კენჭისყრა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობის ასარჩევად.

9 საათსა და 30 წუთზე ამხ. ხრუშჩოვმა სიტყვა მისცა დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ზლენკოს, რომელმაც ყრილობას მოახსენა ფარული კენჭისყრის შედეგები.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დელეგატები ცნობას უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვის** არჩევის შესახებ, აგრეთვე უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებად ამხ. **ბურმისტენკოს, კოროტჩენკოს, კორნიიცის, გრეჩუხას, სეროვის, ზადიონჩენკოს და ლიუბავინის** არჩევის შესახებ.

ყრილობის დახურვისას ამხ. ხრუშჩოვმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა.

— შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, — სთქვა ამხ. ხრუშჩოვმა, — რომ უკრაინის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) იდეურად დარაზმული და მონოლიტურია. მან XV ყრილობაზე აირჩია თავისი ერთგული შვილები, რომლებიც ღირსნი არიან ატარონ ბოლშევიკთა მაღალი სახელი. ამას მოწმობს მათი ნებისყოფა, განუხრელი სურვილი—აწარმოონ ბრძოლა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, დიდი სტალინის მითითებათა შესასრულებლად. მოვუწოდებ ყოველ უკრაინელ ბოლშევიკს კიდევ უფრო შეამჭიდროონ თავიანთი რიგები ჩვენი პარტიის **ლენინურ-სტალინური** ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგი **სტალინის** გარშემო, რათა უკრაინის კ. პ. (ბ) XVI ყრილობას და XVIII სრულიად-საკავშირო პარტიულ კონფერენციას შევხვდეთ ახალი გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

— გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

— გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

— გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს, ჩვენს **სტალინს!**

დარბაზში გრიალებს მძლავრი ოვაცია. გაისმის შეძახილები: „დიდება და სახელი დიდ **სტალინს!**“, „ვაშა!“, „გაუმარჯოს ლენინიზმს!“, „გაუმარჯოს **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** უძლეველ მოძღვრებას!“, „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**“.

დარბაზის თაღებქვეშ გაისმის „ინტერნაციონალის“ ხმა.

ამხანაგი ხრუშჩოვი უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XV ყრილობას დახურულად აცხადებს.

ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

მინსკი, 17 მაისი (საკდესი). ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გარშემო.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კადრების დარგში ამხ. ბოიკაჩევმა თავისი სიტყვა მიუძღვნა კადრების მომზადებას, აღზრდასა და დაწინაურებას.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ბელოსტოკის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. იგაევმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა უსაზღვრო მადლობას სწირავენ რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების მშრომელები, რომლებიც პანების უღლისაგან განთავისუფლდნენ, ბოლშევიკთა პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს.

მას მოჰყავს იმის მკაფიო მაგალითი, თუ რა შემოქმედებითი მუშაობა სწარმოებს ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის. ბელოსტოკის ფიქართა 60 პროცენტზე მეტი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. 400-ზე მეტი კაცი უკვე ორ და მეტ დაზგაზე მუშაობს. ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება.

ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად გამართული ხანგრძლივი ოვაციითა და მისალმებათა შეძახილებით შეხვდა ყრილობა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ივანოვის განცხადებას, რომ ბელორუსიის კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დელეგატად ერთსულოვნად არჩეულია პარტიის დიდი ბელადი, ბელორუსიის ხალხის საუკეთესო მეგობარი ამხანაგი **სტალინი.**

ყრილობას მიესალმა ბელორუსიის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების დელეგაცია. მის გამოჩენას დარბაზში მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**“, „გაუმარჯოს უძლეველ წითელ არმიას!“

მინსკი, 18 მაისი (საკდესი). დღეს ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გარშემო.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გრეკოვმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის შესახებ. ამხ. გრეკოვამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რესპუბლიკაში სათბობი ბაზის შექმნისა და ტორფის მოპოვების მკვეთრად გადიდების საკითხს.

დელეგატმა ამხ. პოზნიაკოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი ცვლილებები მოხდა ქალაქ გროდნოს ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 8 თვის განმავლობაში მოწყობილია მუშაობა 26 საწარმოში. მუშათა რიცხვი 68 პროცენტით გაიზარდა. ქალაქის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის წელს 5 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება.

ამ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომისიის რწმუნებულმა ბელორუსიის სს რესპუბლიკაში ამხ. ზამაროვმა, რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ურალოვმა, ბელორუსიის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა ამხ. სმოკაჩოვმა, ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კლესიოვმა, ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ნატალევიჩმა და სხვებმა.

ყრილობას მიესალმა ბელორუსიის სს რესპუბლიკის დედაქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა დელეგაცია.

მინსკი, 18 მაისი (საკდესი). დღეს საღამოს სხდომაზე დამთავრდა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა. კამათში გამოვიდა 46 კაცი.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გარშემო ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

ყრილობამ აგრეთვე ერთხმად დაამტკიცა ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1. სარდიონ გიორგის-ძე **მიქაუტაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1546483 — კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის.

2. სევასტი სერგოს-ძე **მიქაუტაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1546708 — ფასების პოლიტიკის დარღვევისათვის.

3. მიხეილ გიორგის-ძე **სუთიაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1529805—თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

4. მამედ **ხიდირ-ოღლი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1679727 — კოლმეურნეობაში შრომადღეების უკანონოდ მიღებისათვის და როგორც წარსულში სასამართლო პასუხისგებაში ნამყოფი.

5. პროკოფი სიმონის-ძე **იაკობიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1537144—სისხლის სამართლის დანაშაულისა და ცეცხლწაკიდებისათვის.

6. სიმონ პეტრეს-ძე **ცერცვაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0714337 — ტექნიკური ექსპლოატაციის კანონების დარღვევისათვის.

7. ალექსანდრე ვიქტორის-ძე **მშვენიერაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 2844506 — ნავთის პროდუქტების მითვისებისათვის.

8. მოსე ალექსანდრეს-ძე **ბუთლიაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან (სიღნაღის რაიონის პარტორგანიზაციიდან) — გაფლანგვისათვის.

9. ტიგრან ნიკოლოზის-ძე **ოხიპოვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1672486 — როგორც ყოფილი ვაჭარი.

10. ლეონ გრიგოლის-ძე **ქესაბაზოვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0923897 — გამორჩენის მიზნით სოფელ გარდაბანში ტაქსის თვითნებურად წაყვანისა და ტაქსის მგზავრებისაგან სისტემატურად ზედმეტი ფულის გადახდევინებისათვის.

11. ვართან ასლანის-ძე **ხაჩატუროვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1680868 — ლოთობისა და ხულიგნობისათვის.

12. მიხეილ მასიკის-ძე **ხომერიკი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1919 წლიდან, პარტბილეთი № 1518119—24.297 მანეთ კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის.

13. მელქისედეკ სიმონის-ძე **ქორიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, პარტბილეთი № 2841643—ხულიგნობისა და დებოშისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წ. 15 თებერვლის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) გრიგოლ მელიტონის-ძე **სალუქვაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1671658—საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის. 2) კიო აბრამის-ძე **ვართანიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2848467 — სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. 3) ლევონ ავთანდილის-ძე **გულიევი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1503445—სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. 4) ვიქტორ ვასილის-ძე **ნანეიშვილი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 2839304—რაიონული ხელმძღვანელობისათვის მეცხოველეობის საკოლმეურნეო ფერმის ორგანიზაციის შესახებ ფიქტიური ცნობების მიწოდებისათვის. 5) რასულ ისმაილ-ოღლი **რუსტამოვი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0925333—რადგან პარტიაში შესვლისას დამალა, რომ დაპატიმრებული იყო გლეხის მოკვლისათვის 1924 წელს. 6) სერგო არაქელის-ძე **სარქისოვი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1531279—სახელმწიფო სახსრების მითვისებისათვის. 7) ნესტორ ისიდორეს-ძე **ჯავახიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1531145 — იმისათვის, რომ პარტორგანიზაციას და ხელისუფლების ორგანოებს დაუმალა თავისი ცოლისა და ცოლისძმის სპეკულაცია. 8) აშოთ ანანის-ძე **სიმონიანი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 2849125—ქურდობისათვის. 9) ნარიკ მუხას-ძე **სამუშია**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1937 წლიდან, პარტბილეთი № 1536961—ხე-ტყის მასალის დატაცებისათვის. 10) გერასიმე სერგოს-ძე **არაქელოვი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1920 წლიდან, პარტბილეთი № 1503537—სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. 11) ართავაზ მხითარის-ძე **ბალდ·არიანი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 2847343—სისხლის სამართლის დანაშაულისათვის.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 19 მაისი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბანაკი იუწყება: „მას შემდეგ, რაც ლიკვიდირებულ იქნა წინააღმდეგობა ვალხერენის კუნძულზე, მთელი ჰოლანდია ყველა კუნძულითურთ გერმანელების ხელშია.

ჩრდილოეთ ბელგიაში ანტვერპენის დაკავების შემდეგ გერმანიის ჯარები განაგრძობენ შეტევას, ახევინებენ რა მტერს სულ უფროდაუფრო დასავლეთისაკენ. ანტვერპენის დასავლეთით გადალახულია მდინარე შელდა. მობეჟსა და ლა ფერს შორის შეტევა გრძელდება. გერმანელთა ჯარებმა გადალახეს მდინარეები სამბრა და უაზა. ლე კატო და სენ კანტენი გერმანელთა ხელშია.

სამხრეთ ფლანგზე გერმანელთა დიდმა ძალებმა მიაღწიეს ლაონისა და მდინარე ენის ჩრდილოეთით მდებარე ადგილსა, რეტელის მახლობლად. მონმედის ჩრდილო-დასავლეთით მომხდარი ბრძოლების დროს მაჟინოს ხაზზე დაკავებულია ძლიერი დაჯავშნული სიმაგრე „505“. ტყვეების რიცხვი და ხელში ჩაგდებული იარაღის რაოდენობა მატულობს. აქამდე გერმანიის ჯარებმა ხელთ იგდეს 110 ათასი ტყვე (ჰოლანდიის არმიის ჩაუთვლელად) და მრავალი ქვემეხი, რომელთა ყალიბი 28 სანტიმეტრამდე აღწევს.

ავიაცია მოქმედებდა მტრის ზურგის კომუნიკაციებისა და უკანდასახევი გზების წინააღმდეგ. ბომბარდირებულია მოწინააღმდეგის აეროდრომები, ანგარები, ნავსაშენები და მტრის სხვა სამხედრო ობიექტები. საფრანგეთ - ბელგიის სანაპიროსთან ჩაძირულია 6 ათას ტონა წყალწყვიანი სავაჭრო გემი და მძიმედ დაზიანდა საესკადრო ნაღმოსანი. მტერმა დაჰკარგა 147 თვითმფრინავი. ამ რაოდენობიდან 47 ჩამოგდებულ იქნა საჰაერო ბრძოლის დროს, 13—საზენიტო არტილერიით, დანარჩენი განადგურებულია ხმელეთზე.

გერმანელთა 27 თვითმფრინავი თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა.

ნორვეგიაში გერმანიის ჯარები ნარვიკის რაიონში ავიაციის დახმარებით მოქმედებენ. აქ ჩაძირულია მტრის ერთი 1500 ტონა წყალწყვიანი სავაჭრო გემი და 6 ათას ტონა წყალწყვიანი ერთი ტრანსპორტი. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია მტრის ერთი მფრინავი ნავი. მტრის თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ თავს ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებს. სამხედრო ობიექტები არ დაზიანებულა“.

საფრანგეთის მთავრობის რეორგანიზაცია

პარიზი, 18 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება რეინოს კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ რეინომ მიიღო აგრეთვე სამხედრო მინისტრის პოსტი, მარშალი პეტენი დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, დალადიე—საგარეო საქმეთა მინისტრად, მანდელი შინაგან საქმეთა მინისტრად, როლენი—კოლონიათა მინისტრად და ბარეტი—ვაჭრობის მინისტრად.

ბელგიის მთავრობა დიუნკერკს გადავიდა

ნიუ-იორკი, 19 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბელგიის მთავრობამ დასტოვა ოსტენდე და დიუნკერკს (საფრანგეთი) გადავიდა.

ტერიტორიული ჯარის ნაწილების შედგენა საფრანგეთში

პარიზი, 19 მაისი (საკდესი). გუშინ გამოქვეყნდა დეკრეტი იმის შესახებ, რომ ომის დროისათვის შესდგეს ტერიტორიული ჯარის ნაწილები, რომლებმაც ზურგში მონაწილეობა უნდა მიიღონ ნაციონალური ტერიტორიის დაცვაში. ამ ნაწილებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეიძლება ჩარიცხულ იქნან სათადარიგონი, რომელნიც დატოვებული არიან შინ, ან დროებით გაშვებული არიან შინ.

ყოველ ფრანგს 16 წლის ასაკს ზევით, რომელიც მობილიზებული არ არის, მოუწოდებენ შევიდნენ ტერიტორიული ჯარის ნაწილებში. ამ ჯარში შემსვლელმა ხელი უნდა მოაწეროს ვალდებულებას ომის მთელი დროისათვის. ისინი შეიარაღებულ იქნებიან რეკვიზირებული იარაღით.

ევაკუაცია ინგლისში

ბერლინი, 19 მაისი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს შვედურ გაზეთ „აფტონბლადეტის“ მიერ ლონდონიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ კენტის, ესექსის და სუფოლკის საგრაფოების მოსახლეობა ნაწილობრივ ევაკუირებულია, ვინაიდან ეს საგრაფოები სანაპიროსთან მეტად ახლო მდებარეობენ.

გამოფენა მოწინავეთა გამოცდილების დიადი სკოლაა



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. საქართველოს სსრ პავილიონი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მოსკოვი, 18 მაისი (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). გამოფენის ტერიტორიაზე დიდი გაცხოველებაა. განსაკუთრებით ბევრი არიან მოსკოველები, რომლებმაც ისარგებლეს მზიანი გამოსასვლელი დღით. საქართველოს პავილიონი ინახულა ოცზე მეტმა ორგანიზებულმა ექსკურსიამ, მათ შორის გამოფენის მონაწილეებმა წითელწყაროს რაიონიდან რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მირიანაშვილის მეთაურობით. გამოფენა ინახულა ბევრმა მოსწავლემ, რომლებიც გუშინ არდადეგებისათვის დაითხოვეს. შთაბეჭდილებათა წიგნში გაკეთებულ ჩანაწერებში ისინი კისრულობენ ვალდებულებას გამოცდები ჩააბარონ ფრიადზე, როგორც ფრიადზეა შესრულებული და გაფორმებული საქართველოს პავილიონი.

დღეს ბეჭდვითი სიტყვის პავილიონში პავილიონის მთავარი რედაქტორის ამხ. კორჟის თავმჯდომარეობით შესდგა შეხვედრა გამოფენის ბეჭდვითი სიტყვის პავილიონის მონაწილეებისა საქართველოს სს რესპუბლიკიდან, უკრაინის სს რესპუბლიკიდან, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეებიდან. ამ თათბირზე წარმოდგენილი გაზეთების მუშაკები ერთმანეთს უზიარებდნენ თავისი მუშაობის გამოცდილებას. ამ საუბრის დროს ნაჩვენები იყო გაზეთ „კომუნისტის“ 15 მაისის ნომერი, მიძღვნილი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი.

თვითმფრინავით ჩამოტანილი ეს ნომერი გამოფენაზე მიღებულ იქნა გუშინ საღამოს და გუშინვე გამოჩნდა ბეჭდვითი სიტყვის პავილიონის სტენდებზე. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა თათბირზე ამხ. კორჟმა აღნიშნა „კომუნისტის“ ოპერატიულობა. გუშინ გაზეთის მიღებას დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოს პავილიონის, აგრეთვე სხვა რესპუბლიკური დარგობრივი პავილიონების მუშაკები. დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის რადიოკვანძმა გადასცა ცნობა „კომუნისტის“ ამ ნომრის მიღების შესახებ და მისი მოკლე შინაარსი.

ვ. ყარა-მურზა

მეცნიერება სოციალისტური მიწათმოქმედების სამსახურში

მოსკოვი, (ჩვენი საკ. კორ.). „მეცნიერების აყვავებისა, იმ მეცნიერების, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ იჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით...“

ამხანაგ სტალინის ამ სიტყვებს საქართველოს სსრ პავილიონის მნახველი კითხულობს სტენდზე, რომელიც მიძღვნილია საქართველოს მოწინავე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისადმი.

ამ სტენდზე წარმოდგენილი არიან ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შესახებ სტენდზე განმარტებით ტექსტში ნათქვამია: „ინსტიტუტმა წარმოებაში გადასცა ჩაის კულტურის გასაშენებლად 15 გრადუსზე მეტი სიმაღლის ფერდობების ათვისების ხერხი, დაამუშავა მწვანე აგურა-ჩაის წარმოებისა და ჩაის არომატისა და გემოს გაუმჯობესების მეთოდი“. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მცირე ამონაწერია ინსტიტუტის „ნამსახურობის სიიდან“, ინსტიტუტისა, რომლის დამსახურებაც ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებაში განუზომელია. ფოტოგრაფიები ამ სტენდზე ასახავენ ჩაის ფოთლის კრეფის სხვადასხვა საშუალებებს, რუკა გვიამბობს ინსტიტუტის კავშირის შესახებ წარმოებასთან, დიოგრამა—სიდერაციის (მწვანე სასუქის შეტანის) გავლენის შესახებ მწვანე ფოთლის მოსავალზე. სტენდთან გამოფენილია ჩაის პლანტაციების მაკეტები, რომლებიც ასახავენ ჩაის გაშენების სხვადასხვა საშუალებას 15 გრადუსზე მეტი სიმაღლის ფერდობებზე და ნათელჰყოფენ იმ მეთოდებს, რომლებიც დაამუშავა ინსტიტუტმა ნიადაგის ჩამორეცხვასთან საბრძოლველად.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს სამი საჭკნობი კამერის კარგად შესრულებული მოდელი — მარდალეიშვილისა, ლომინაძისა და შარკოვსკისა.

წარწერა, რომელიც აქვს სტენდზე მოთავსებულ მარდალეიშვილის ფოტო-პორტრეტს, იუწყება, რომ მის მიერ გამოგონებულმა ჩაის ფოთლის ხელოვნური ჭკნობის კამერამ ქვეყანას დაუზოგა 87 ნახ. მილიონი მანეთი.

სტენდის მეორე ნაწილი უკავია ბათუმის ბოტანიკურ ბაღს. მხატვრულად შესრულებული ფოტოგრაფიები მოგვითხრობენ ბოტანიკური ბაღის მოწინავეთა—მარიამ გოგოლიშვილის, ვსევოლოდ ანგელსკის, სერგეი გინკულის და სხვ.—მუშაობის შესახებ.

მეცნიერებას, რომელიც სოციალისტური მიწათმოქმედების სამსახურში იმყოფება, საქართველოს სსრ პავილიონის მნახველი ერთხელ კიდევ ხვდება სხვა დარბაზში. აქ სტენდი მიძღვნილია საქართველოს **ბერიას** სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტისადმი. ფოტოგრაფიები გვიჩვენებენ საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ლაბორატორიების მუშაობას. ციფრები გვიამბობენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რაოდენობისა და იქ მოსწავლეთა რიცხვის სწრაფი ზრდის შესახებ.

იშვიათი ექსპონატები

ათვალიერებს რა გამოფენას, მნახველი თითქოს მოგზაურობს ჩვენი მშვენიერი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეებში. სასახლე-პავილიონების, ბაღებისა და მინდვრების ამ ქალაქში წარმოდგენილია საბჭოთა მიწა-წყლის სასოფლო - სამეურნეო ფლორისა და ფაუნის მთელი მრავალფეროვნება. თვითეული ექსპონატი არის წარმტაცი მოთხრობა ბუნებაზე ადამიანის გამარჯვების შესახებ.

წითელი იონჯა თეთრი ყვავილებით

ყველამ იცის, რომ წითელი იონჯის ყვავილი ყოველთვის წითელია. გამოფენის საკვები კულტურების ნაკვეთზე ერთერთი კვალი უარჰყოფს ამას: აქ დარგულ წითელ იონჯას აქვს თეთრი ყვავილი.

ეს არის იონჯის ახალი ჯიში—მეცნიერ - სელექციონერის ი. ს. ტრავინის მრავალი წლის შრომის ნაყოფი.

თეთრყვავილიანი იონჯა გამოყვანილია ჩვეულებრივი წითელი იონჯიდან. იგი ითიბება წელიწადში ორჯერ-სამჯერ, მაღალმოსავლიანია, სიცივისა და გვალვის საკმაოდ გამძლეა. მისი უპირატესობა კიდევ იმაშიც არის, რომ იონჯის თეთრი მინდვრის ფონზე კარგად სჩანს მისი დანაგვიანება სხვა ჯიშის იონჯით. ყოველ კოლმეურნეს შეუძლია გამოარკვიოს ნათესების დანაგვიანება და დაიცვას ჯიშის სიწმინდე.

ბოსტნეული „მსოფლიოს სახურავიდან“

აღმოსავლეთ პამირის ზეგანზე ჰავა არაჩვეულებრივად მკაცრია. ზაფხულის ცხელ დღეს მოსდევს ღამის ყინვები. ათასეული წლების მანძილზე ამ მხარეში, რომელსაც „მსოფლიოს სახურავი“ ეწოდა, არ ყოფილა მიწათმოქმედება. მეფის რუსეთში აღმოსავლეთ პამირს სოფლის მეურნეობისათვის უვარგისად სთვლიდნენ.

სწავლობდნენ რა მხარის კლიმატურ პირობებს, საბჭოთა მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს მეტად უცნაურ მოვლენას: გარეული მცენარეები არ იღუპებიან ღამის მსუბუქი ყინვებისაგან. მათში ბევრი შაქარია, რომელიც ეხმარება მათ წინააღმდეგობა გაუწიონ სიცივეს.

მემცენარეობის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის მსოფლიო კოლექციიდან აქ გამოცდილ იქნა მრავალი მცენარე, რომ გამოერკვიათ მათი შეგუება ადგილობრივი მკაცრი პირობებისადმი. უკეთესი შედეგები გვიჩვენეს მარცვლეულებმა, რომლებიც გამოტანილია ტროპიკული ქვეყნებიდან — არაბეთიდან და აბისინიიდან. ეს კულტურები ყველაზე მალე მწიფდება.

საბჭოთა აღმოსავლეთ პამირს ახლა აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური სადგური, რომელიც პამირზე მუშაობს, ტაჯიკეთის პავილიონში გვიჩვენებს იმ ქერის ძნების ნიმუშებს, რომელიც მოყვანილია ზღვის დონიდან 3600—4000 მეტრის სიმაღლეზე. ამ ქერის მშრალი მასის ერთ კილოგრამში 400 გრამი შაქარია.

პამირის ჩალის შაქრიანობა 8-ჯერ აღემატება ჩვეულებრივს.

აღმოსავლეთ პამირზე მოჰყავთ ბოსტნეულიც და კარტოფილიც. ისინი იტანენ ცხრაგრადუსიან ყინვებს და კარგ მოსავალს იძლევიან.

ტაჯიკეთის პავილიონის სტენდებზე გამოფენილია ექსპონატები ბოსტნეულისა, რომელიც მოყვანილია „მსოფლიოს სახურავზე“.

იაკისა და ძროხის ჰიბრიდი

მეცხოველეობის ქალაქში გამოფენაზე პირველად არის წარმოდგენილი იაკისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჰიბრიდები.

ტიან-შანის და ალტაის მცხოვრები იაკი მთელი წლის განმავლობაში საძოვრებზე იკვებება. ეს საოცრად ამტანი ტვირთმზიდი ცხოველი, რომელიც ბევრ საკვებს არ მოითხოვს, უკვე დიდიხანია იპყრობს მეცხოველე მეცნიერთა ყურადღებას. მსხვილფეხა რქიან პირუტყვთან იაკის შეჯვარებით სპეციალისტები ოცნებობენ ისეთი ახალი სახის პირუტყვის შექმნაზე, რომელშიც იაკის ამტანობა შეხამებული იქნება ძროხის რძიანობასა, ტანადობასა და ხორციანობასთან. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ალტაისა და ყირგიზეთის მაღალმთიანი რაიონებისათვის, სადაც იაკი თითქმის ერთადერთი სატრანსპორტო ცხოველია.

ოიროტიის ზოოტექნიკურმა საცდელმა სადგურმა ალტაიზე ამ დარგში შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია. იგი გამოფენაზე აჩვენებს იაკისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 6 ჰიბრიდს.

ექსპონატებს შორის არის დეკეული პარუსინკა, რომელიც მიღებულია დედა-იაკისა და სიმენტალის ჯიშის ბუღისაგან. პარუსინკა ფერითა და სწრაფი მოძრაობით მოგვაგონებს იაკს, ხოლო ტანის აგებულობით და სხვა თვისებებით—სიმენტალს.

ი. ხ. ლიუბოვიჩი



რამდენი ტანჯვა-ვაება
უნახავს საქართველოსა?
რამდენი დაუტირია
გმირი ცრემლებით მდელოსა?
სულ ბრძოლით დაცხრილულია
ჩვენი მთები და კლდეები
ნაოხარ-ნასოფლარებზედ
მოსულან ხშირი ტყეები.
დღესაც სცოცხლობენ გვარები
გატაცებული ტყვეების,
ბევრგან ნასოფლარს გვაგონებს
სიხშირე სამარეების.

კაცთ სასაფლაოდ ქცეულან
კოშკები თავშესაფარი,
წინაპართ ძვლებით სავსეა
ნაციხვარ-ნაქალაქარი.
ბევრს დღემდის შემოუნახავს
სიმტკიცე გასაოცარი,
ბევრი კი გაფანტულია,
როგორც ნავლი და ნაცარი.

ჩვენი მთაც — ფშავ-ხევსურეთი
მტერს ბევრჯერ წაულეკია.
უხოცავ დიაც-ყმაწვილი
ტყვეები გაურეკია,
საბედისწერო ყოფილა
გზა—ვიწრო, კლდე და ბექია,
მტრის მიერ სისხლი დაღვრილი
ხევებში დანალექია.

მეფემ და მენშევიკებმა
ჭირსა შეგვყარეს უარესს,
მოწამლულს მათი შხამითა
ძლივს გადავურჩით იარებს.
აგვიკლეს აგვაწიოკეს
სახლკარით გაგვატიალეს
და ძმათა წასისინების
დროშები ააფრიალეს.

მაგრამ მზემ გადმოგვანათა
დღე გაგვითენდა დიადი!
გაჰფანტა ჭალა-მთებიდან
სულშემხუთავი წყვდიადი;
მიწა ვარდებით დაჰფარა
და ვარსკვლავებით კამარა;
ძველი დრო უკუღმართული
ჩაჰკლა და ჩაასამარა.

მას შემდეგ წლები წლებს
მისდევს,
როგორც მნათობებს მნათობი.
იზრდება ჩვენი ქვეყანა
წყლისა და მიწის ფართობით.
სამკალს რომ მწყერი მოსძახის,
სათიბს — ტოროლა ხმიანი,
ხარობენ მინდორ-ველები,
პიროქროჩუქურთმიანი.

ტრაქტორი — რკინის დევგმირი,
მოუღალავი ჯანისა
გადააშავებს ყამირებს,
ზედ ტალღა გორავს მწვანისა!
ყვითელი ოქროს თაველი
მშრომელი გლეხის დიდება,
თითო — გაშლილი მტკაველი,
მძიმედ ძირს დაეკიდება!

კოლექტივებში ვმუშაობთ
იზრდება შრომის ნაყოფი!
ნაშრომს ვინ შეგვეცილება,
არავინაგვყავს გამყოფი!
სახლი დოვლათით ივსება
მრავალ წლეების სამყოფით!

სოციალიზმის მზე გვადგა
ყველამ იცვალა ფერია!
მოკლე ხნის დიდი ამბავი
კალმით ვერ ამიწერია.
თქვენს წმინდა სახელს
ფიცულობს
თქვენი აღმზრდელი ერია,
მშრომელთა დიდო ბელადო —
სტალინ, და ჩვენო **ბერია!**
თუ გაზრდის თქვენებრ გაზარდოს
ძუძუმ ქართველი დედისა —
ბრძენი და ხალხის იმედი,
იმედი შემოქმედისა.

მალაღებს ჩემი სამშობლოს
ეს გულზვიადი მთებია!
ფოლადის მუზარადებით
ცის თაღს რომ დასჯახებიან.
მალაღებს, როცა შორიდან
ლაჟვარდში გამოჩნდებიან
და მზის სხივებით ყველაზე
ადრე, რომ გაბრწყინდებიან!

მსურს სულ იმ მთებში
დავფრენდე
ლაღი ოცნების ფრთებითა,
ვსვამდე მთის უკვდავების
წყლებს,
ვთვრებოდე ჩანჩქერებითა!
ვესიტყვებოდე ვარსკვლავებს
ჩემი სამშობლოს ქებითა,
რომ მიდის გამოფენაზე
უჭკნობი ყვავილებითა!

ეს ანდამატის კლდეები
ნაჩხვერი რკინის ხარების,
ჯიხვთა სატახტო ქალაქი
არწივთა საბუდარები,
ქორ-შევარდნებს და არწივებს
კიდევ ბევრს გადმოაფრენენ,
ცას მოსტაცებენ ვარსკვლავებს
მთებს ნათელს შემოაფენენ.

რა შეედრება სამშობლოს
ხალხს და მშობლიურ კერასა?!
კოლექტივების მინდვრებზე
გმირობის გამოჩენასა!
ქვეყნისთვის, სტალინისათვის
საზღვრებზე თვალის ჭერასა,
მათთან შრომას და ცხოვრებას
მათთან ჭირსა და ლხენასა!

ძმათა ერთიან ოჯახში
ზღვით ზღვამდე, მთიდან
ბარამდის
მისულხარ, ჩემო ქვეყანავ,
შენ კომუნიზმის კარამდის,
აღარ დასჭკნება ეს ბაღი,
ვიდრე ხალხია მანამდის,
იხარებს მზის დალევამდე
და იკაშკაშებს მარადის.

ალექსანდრე კუდიანაშვილი
ს. ვეძათ-ხევა,
თიანეთის რაიონი.

გეგმები შესრულებულია გადაჭარბებით

ვანის რაიონმა დაამთავრა მარცვლეულ კულტურათა თესვა. გეგმით გათვალისწინებული 8438 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 8450 ჰექტარი. თესვა გრძელდება.

მანდარინი, ნაცვლად 60 ჰექტარისა, დარგულია 62 ჰექტარზე, დაიმყნო ერთი მილიონი ცალი ვაზი, 200 ათასი ცალით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი ზ. კაკაბაძე.
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კალანდაძე.

„დეპუტატი“

ახალი ქართული ოპერა

ქართულ მუსიკას საპატიო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა მუსიკალურ კულტურაში. „აბესალომ და ეთერის“ წარმატება მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ნათლად მოწმობს ჩვენი მუსიკის საკმაოდ მაღალ პროფესიულ დონეს. ა. ბალანჩივაძის ბალეტის „მთების გულის“ ბრწყინვალე გამარჯვებამ ლენინგრადის და ხარკოვის საოპერო თეატრებში დაამტკიცა ქართული მუსიკის ამაღლება. აქედან გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენს საბჭოთა საზოგადოებრიობა ყოველი ახალი ქართული მუსიკალური ნაწარმოებისადმი.

ჩვენი ნიჭიერი კომპოზიტორის შ. თაქთაქიშვილის ახლად დაწერილი ოპერა — „დეპუტატის“ ავტორის მუსიკალურ წარმატებასთან ერთად,—შეიძლება ითქვას, რომ მან ვერ შესძლო ზოგიერთ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომლებსაც ჩვენ ვუყენებთ მუსიკალური ხელოვნების ყველაზე უფრო მასობრივ სახეს—ოპერას.

შ. თაქთაქიშვილს იცნობენ, როგორც ავტორს მთელი რიგი ინსტრუმენტალური ნაწარმოებებისა: სიმფონიური პოემა „1905 წელი“, პიესა „მწუხარება“ და კონცერტი ჩელოსათვის, ორი სიმებიანი კვარტეტი, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილია მისი შესანიშნავი პირველი კვარტეტი და სხვ. უკანასკნელი მისი გამოსვლა საოპერო ჟანრში „დეპუტატით“ მოწმობს კომპოზიტორის, როგორც მუსიკოსის, შეუჩერებელ ზრდას. შ. თაქთაქიშვილის ცდა ჩვენი შესანიშნავი თანამედროვეობის ამსახველი მუსიკალური ნაწარმოების შექმნისა ყოველმხრივ მისასალმებელია. ამ ფაქტს უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს.

მართალია, ოპერაში წამყვანი როლი, საზოგადოდ, მუსიკას აქვს მინიჭებული. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ შეიძლება ლიბრეტოს, ანუ ოპერის ლიტერატურული საფუძვლის უგულებელყოფა. ლიტერატურული ტექსტის მოხდენილი დალაგება, მთავარი აზრის —იდეის გარკვევით გატარება, დრამატიული ინტრიგის ორგანიული გაშლა, მთავარ მომქმედ პირთა რელიეფური ასახვა, სასცენო ტექნიკის ცოდნა, ოპერის სპეციფიკისათვის ანგარიშის გაწევა და სხვა—აი რა მოეთხოვებათ საერთოდ ლიბრეტოს ავტორებს, ლიბრეტოს რომლის საფუძველზედაც მდიდრულად გადაიშლებოდა კომპოზიტორის შემოქმედებითი ნიჭი.

მრავალ ამ თვისებებს მოკლებულია „დეპუტატის“ ლიბრეტო, რომლის ავტორებია გ. თაქთაქიშვილი და ა. თაყაიშვილი. ამ ოპერას საფუძვლად დაედო გ. თაქთაქიშვილის პიესა „ხალხის რჩეული“, რომლის დრამატურგიულ ღირსებათა განხილვა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. რაც შეეხება ამ პიესაზე აგებულ საოპერო ლიბრეტოს, შეიძლება ითქვას, რომ იგი სუსტია და ლიტერატურულად ზოგჯერ ხორცშეუსხმელი.

ოპერა „დეპუტატის“ შინაარსი მოკლედ ასეთია: მოწინავე ქალს, ნანო იშხნელს, რომელიც მუშაობს ბავშვთა ექიმად ერთერთ საგარეუბნო კოლმეურნეობაში, კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებაზე წამოაყენებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ნანო უყვარს ექიმ მენაბდეს, რომელიც მასში თანაგრძნობას ვერ პოულობს. ნანოს ავად უხდება ერთადერთი შვილი. ის განიზრახავს ბავშვთა ავადმყოფობის საწინააღმდეგო იმ პრეპარატის გამოყენებას, რომელიც თვით აღმოაჩინა. მაგრამ ექიმი მენაბდე, ძველი წყობილების წარმომადგენლის, დეიდა დორას, შთაგონებით ხელს უშლის ნანოს თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას. ბავშვი კვდება. ნანო მძიმედ განიცდის საყვარელი შვილის დაკარგვას. პარტიული მუშაკი ილია აცნობებს ნანოს მის დეპუტატად არჩევას და მოაგონებს დიდი სტალინის სიტყვებს ხალხისადმი სამსახურის შესახებ, რაც ნანოს სულიერ განწყობილებაში უეცარ გარდატეხას იწვევს. შემოდის კოლმეურნე პავლე, რომლის ვაჟი ლექსო მძიმედ გამხდარა ავად. ნანო გაეშურება კოლმეურნეობის საავადმყოფოსაკენ, ახლა გაბედულად გამოიყენებს დღემდის შეუმოწმებელ, თავის პრეპარატს და გადაარჩენს ლექსოს. მენაბდე აღიარებს, რომ ნანოსადმი ტრფობით გატაცებულმა ხელი შეუშალა მას თავისი პრეპარატის გამოყენებაში მისი შვილის მიმართ. ხალხი ულოცავს ნანოს გამარჯვებას. მასის სიხარული გამოიხატება მხიარული და ბედნიერი ცხოვრების შემქმნელის — დიდი სტალინისადმი მიძღვნილ სიმღერაში.

„დეპუტატი“ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში. **სურათზე** (მარცხნიდან): საქ. სსრ დამს. არტისტი **დ. ანდღულაძე** (ილია), **ნ. ცომაია** (ნანო), **დ. გამრეკელი** (მენაბდე), **ტ. შარატა-დოლიძე** (ნანო).
ფოტო ო. ბუდეშტსკისა (ფოტოქრონიკა).

მიუხედავად მომქმედ პირთა სიმრავლისა, მრავალფეროვანი გუნდებისა, ხუთსურათიანი ოთხი მოქმედებისა—მთელი ოპერა წარმოადგენს ერთიანი დრამატიული განვითარების ხაზს მოკლებულ ცალკეული სცენების თანმიმდევრობას. ოპერის ცენტრალური ფიგურის—დეპუტატის სახე მუსიკალურ-სცენიურად სუსტია. რაში გამოიხატება ნანოს დეპუტატობა? იმაში, რომ უარჰყო სულმოკლე ექიმ მენაბდის სიყვარული, თუ იმაში, რომ მხოლოდ ილიას მიერ რჩევის შემდეგ, მოარჩინა კოლმეურნის შვილი? ნანოს სცენიურმა განსახიერებამ საშუალება არ მისცა კომპოზიტორს მუსიკალურად მკვეთრად დაეხასიათებინა დეპუტატის პარტია. ნანო აქ აღებულია უფრო როგორც მელოდრამატიული ოპერის პერსონაჟი, ვიდრე მოწინავე, მასებთან უშუალოდ დაახლოებული ხალხის რჩეული. ნაკლებ დამაჯერებელია ექიმ მენაბდის როლი.

მიუხედავად ილიას სახის შედარებითი გარკვეულობისა, ლიბრეტისტების წყალობით ისიც მკრთალად და ტენდენციურადაა მოცემული. მეოთხე მოქმედებაში ილია მღერის: „დედამ რო შვილი გაზარდოს, ემაგრე თქვენისთანაო“, ხოლო სრულიად გაუგებარია, თუ ვის მიმართავს ამ სიტყვებით: პიონერებს, კოლმეურნეებს თუ ექიმს.

გარკვეულია, მაგრამ ისიც ეპიზოდურ მომქმედ პირს წარმოადგენს, დეიდა დორა. მეორე მოქმედების თითქმის მთელი საორკესტრო შესავალი (იწყება არფის სოლოთი) მის მუსიკალურ დახასიათებას აქვს დათმობილი. დეიდა დორას ბოლო არიიდან აღებული მუსიკალური ინტონაციები, მის დამახასიათებელ ლეიტ-მოტივსაც წარმოადგენს. ძველი, ჩამორჩენილი შეხედულებების მქონე გულქვა ადამიანი, რომელიც თავის დისწულს, მენაბდეს, ჩააგონებს ნანოს შვილის თავიდან მოცილებას, ოვაციებს იწვევს მსმენელში თავისი უკანასკნელი არიის შესრულებით. ეს არია აგებულია ერთ დროს ცნობილი სიმღერის — „ერთხელ ვიხილე ბაღში ყვავილი“-ს მელოდიაზე.

„დეპუტატში“ მუსიკალური სახეები არ ვითარდებიან, მომქმედნი პირნი უფრო მოგვითხრობენ, ვიდრე მოქმედებენ. პირველი აქტი დივერტისმენტის შთაბეჭდილებას სტოვებს. ოპერის ლიბრეტო დაწერილია ზოგჯერ გაუგებარი და სუსტი ენით. მაგალითად, სადაური ქართულია: „ნანომ დაამარცხა მრავალი ბავშვთა სნეული“, ან კიდევ: „მაჩუქეთ მცირედი ჟამი“?!.. პირველ მოქმედებაში კოლმეურნეთა გუნდი მღერის „კოლექტივო, მხარი მხარს, წავიდეთ, მოვედოთ თავისუფალ მთა და ბარს; მივიდეთ, მივუდგეთ გაერთიანებულ ჯარს... არიქა, არიქა, ჩავეჭიდოთ გუთნის ტარს (!)... აბა ჰეი, ქალაქო, ველით მანქანების ღვარს... მივხედოთ ცეცხლმოდებულ მთა და ბარს (!?). მეხი-მეხს, ქარი-ქარს, ჩვენ კი მივსცეთ მხარი მხარს“. ერთი ასეთი მაგალითიც: ბაბო მარიამი, დამწუხრებული თავისი შვილიშვილის—ლექსოს — ავადმყოფობით, მღერის: „თუმცა წუხილი მჩაგრავს უწყალო, თავისთავად ლაღი, უბრალო იმედი ნუგეშ საცემად და იმ იმედს ჩემ წუხილს ვანდობ“. ამ წინადადების აზრის გაგება უსათუოდ ძნელია.

ყოველივე ამის შემდეგ, ადვილი გასაგებია ის ერთგვარი შეზღუდვა, — რომელშიაც კომპოზიტორი ჩავარდა. შ. თაქთაქიშვილმა ამ ოპერით დაგვანახვა თავისი უდავო შემოქმედებითი ზრდა, მელოდიური ნიჭი, მისწრაფება ქართული ხალხური მუსიკის ათვისებისა და დამუშავებისაკენ, და ქართული კლასიკური საუკეთესო საოპერო ტრადიციების გამოყენების ცდა. თავის შემოქმედების პირველ ხანებში შ. თაქთაქიშვილი მოექცა რუსული მუსიკის, კერძოდ ჩაიკოვსკის გავლენის ქვეშ. ეს გავლენა ახლაც მოსჩანს „დეპუტატში“, განსაკუთრებით ცალკე პერსონაჟების (ნანო, მენაბდე, დორა და სხვ.) და მათი ფსიქოლოგიური განცდების გადმოცემაში; ამავე დროს კომპოზიტორს ემჩნევა ზ. ფალიაშვილის და მ. ბალანჩივაძის საოპერო მუსიკის გავლენაც.

განსაკუთრებული, მაღალმხატვრული ღირებულების მქონეა ამ ოპერაში მოცემული გუნდები, რომელთაგან: „ოი დილავ“, „მხარი მხარს“ (იმ პირობით, თუ ტექსტი იქნა გადაკეთებული), „სიმღერა ორ არწივზე“ და „სიმღერა სტალინზე“ უდავოდ საპატიო ადგილს დაიმკვიდრებენ მდიდარ ქართულ საგუნდო ლიტერატურაში. ამ გუნდების მუსიკალური ენა გამომდინარეობს ქართული ხალხური საგუნდო სიმღერების ბუნებიდან, და ამაშია მათი სიძლიერე და მხატვრული მნიშვნელობა. რაც შეეხება ოპერის მუსიკალურ სტილს საზოგადოდ, აქ კომპოზიტორს მართებს თავისი მუსიკალური ენის მეტი დახვეწა, განუწყვეტელი მისწრაფება საკუთარი მუსიკალური ენის გამომუშავებისაკენ და მომავალში მეტი ყურადღების მიქცევა საოპერო ლიბრეტოს მთლიანობისათვის. შ. თაქთაქიშვილისაგან მოველით მრავალ მნიშვნელოვან მუსიკალურ ნაწარმოებს, საამისოდ მას ყველა პირობა აქვს—უტყუარი მუსიკალური ნიჭი და განუწყვეტელი შემოქმედებითი ზრდა.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანმა ოპერისა და ბალეტის თეატრმა სამაგალითო მუშაობა ჩაატარა „დეპუტატის“ დასადგმელად. თეატრის მთელი კოლექტივი არ ზოგავდა დროს და ენერგიას იმისათვის, რათა საბჭოთა მაყურებლისათვის ეჩვენებინა ახალი ოპერა. ზოგიერთი მიზანსცენების, პერსონაჟების და გუნდის სცენიური განლაგების საკითხები შეიძლება სადავო იყოს,—მაგრამ უდავოა ის, რომ ასეთი წარმოდგენის სტილის პოვნა არც ისე ადვილი საქმეა. მას ჯერ დადგმის არავითარი ტრადიცია არა აქვს. მიუხედავად ამისა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. აღსაბაძემ მოგვცა ამ ოპერის კარგი სცენიური განსახიერება.

პირველ მოქმედებაში მოცემული ნელი ტემპის ცეკვა, რომელიც უფრო ბოროდინის და რიმსკი-კორსაკოვის „აღმოსავლეთ“ შეეფერება, ვიდრე მცხეთის კოლმეურნეობის მიდამოებს — არღვევს დადგმის საერთო სტილს. ცეკვებს (დადგმა დ. ჯავრიშვილის) გაცხოველება შეაქვთ თავისი მრავალფეროვნებით, მაგრამ ბალეტის დასასრულს (ხელში აყვანილი ბავშვი და თაიგულები) ერთგვარი სენტიმენტალობის ელფერი გადაჰკრავს. გუნდები კარგადაა დამუშავებული, საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება მიექცეს სიტყვის მკაფიოდ გამოთქმას.

პროფ. შარლემანის მხატვრული გაფორმება მოცემულია ნათელ, ღია ფერებში. კარგია I და IV მოქმედების დეკორაციები. მოხერხებულადაა ნაპოვნი ოპერის მოქმედების ადგილი—მცხეთის მიდამოები. შორით მოსჩანს ჯვარის მონასტერი და სვეტი-ცხოველი — განსახიერება წარსულისა, წინა ხედზე კი-ლენინის ძეგლი ზაჰესთან, ხოლო „დიდი ოპერისებურ“ ფინალში, — დიდი სტალინის ქანდაკება—როგორც დღევანდელი ჩვენი ძლიერებისა და ბედნიერების განსახიერება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დირიჟორ შ. აზმაიფარაშვილის მიერ ჩატარებული მუშაობა. ამ ოპერის მომზადებით მან დაგვანახვა არა მარტო თავისი, როგორც საოპერო დირიჟორის, ზრდა, არამედ საქმით დაამტკიცა უშუალო დაინტერესება ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნების შემდგომი განვითარებით. სჩანს, გულდასმით და გატაცებით უმუშავნია დირიჟორს ოპერის შემსრულებელთა მთელ კოლექტივთან, რათა მიეღწია ბგერის სიწმინდისა, ტემპების სიზუსტისა და ვოკალურ-ინსტრუმენტალურ ანსამბლებში მხატვრული წონასწორობის დამყარებისათვის. ამიტომაცაა, რომ შესრულების მუსიკალური მხარე დიდ სიმაღლეზე დგას.

შემსრულებელთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს **ნ. ცომაია,** რომელმაც მოგვცა ღრმა შინაგანი განცდებით მდიდარი ექიმ ნანოს სახე. თავის ძლიერ ხმას იგი უაღრესად გამომსახველად იყენებს განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში. კარგია სცენიურად ნანოს როლის მეორე შემსრულებელი **ტ. შარატა-დოლიძე.** მომღერალს, როგორც სჩანს, საკმაოდ არა აქვს დამუშავებული ამ როლის ვოკალური პარტია.

ექიმ მენაბდის როლს დიდი ექსპრესიით გადმოგვცემს **დ. გამრეკელი.** მსახიობის მიერ შესრულებულმა არიებმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვეს მსმენელებში. **გ. ვენაძე** ამავე როლში ზედმეტად თავშეკავებულია, რის გამო მის მიერ შექმნილი სახე მკრთალი იყო.

დამაჯერებელია **გასტენინას** მიერ შექმნილი დეიდა დორას სცენიური სახე. მომღერალს ეტყობა მაღალი მუსიკალური კულტურა და თავისუფლება სცენაზე თავისდაჭერაში. **ე. სოხაძე** ოსტატურად მიჰყავს დეიდა დორას პარტია, თუმცა ზოგიერთი ადგილები მის შესრულებაში დაზუსტებას საჭიროებს. **დ. ანდღულაძემ** თავისი შესანიშნავი ხმით და სცენიურობით შექმნა ილიას დამაჯერებელი სახე. პავლეს როლში გამოირჩევა **ლ. გერმესაშვილი** თავისი სისადავით და უშუალობით. ბაბო მარიამის შემსრულებლებმა **მ. სუხიაშვილმა** და **ე. ბელქანიამ** მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სიტყვის გარკვევით გამოთქმას.

მკაფიოდ და გარკვევით განასახიერეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარის ვანოს როლი **გ. გრიგოლაშვილმა** და **გოგიჩაძემ.**

ახალგაზრდა მომღერალთა შორის აღსანიშნავია ძლიერი ხმის მქონე **გ. შმალცელი** (ტასო), **ა. მაჩაბელი** (1 კოლმეურნე), **ნ. პესტოვა** (ლექსო) და სხვ. მუსიკალური ახალგაზრდობის ასეთი დაწინაურება თეატრის მიერ ყოველმხრივ მისასალმებელია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორები გაითვალისწინებენ შ. თაქთაქიშვილის შემოქმედებითი ცდის შედეგებს და უახლოეს მომავალში მოგვცემენ ნამდვილ სრულყოფილ საბჭოთა ოპერებს.

პ. ხუჭუა

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 18 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბანაკის შემდეგ ცნობას:

„ჰოლანდიაში წარმატებით გრძელდება ზეელანდის კუნძულების ტერიტორიის გაწმენდა მტრის ჯარისაგან. გუშინ ბრძოლა სწარმოებდა მხოლოდ ვლისინგენის აღმოსავლეთით, ვალჰერნის კუნძულზე. ჰოლანდიის სარდალმა კაპიტულაცია მოახდინა. სჰაუვენისა და სამხრეთ-ბევკლანდის კუნძულებზე დატყვევებულ იქნა 2 ათასზე მეტი ჰოლანდიელი და ფრანგი. ხელთ ვიგდეთ ჰოლანდიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ის ნაწილი, რომელიც ნავსადგურში იყო, აგრეთვე ჰოლანდიის სანაპირო ბატარიები.

ჩრდილოეთ ბელგიაში გერმანიის ჯარის ნაწილებმა ორ პუნქტში გაარღვიეს ანტვერპენის სიმაგრეების გარეთა ხაზი. უკვე გუშინ ვიუწყებოდით, გაათთრებული ბრძოლის შემდეგ დავიკავეთ მალინი და ლუვენი. ბრიუსელი უბრძოლველად ჩაგვაბარა ქალაქის ობერბურგომისტრმა. გერმანიის ჯარის ნაწილები კვლავ მისდევენ მტერს, რომელიც უკან იხევს დილის პოზიციიდან. მობეჟის სამხრეთით გერმანიის ჯავშანნაწილებმა საფრანგეთის საზღვრისპირა სიმაგრეები გაარღვიეს და დაამარცხეს მტრის ორი დივიზია და მისდევს მტერს, რომელიც უკან იხევს, მდინარე სამბრის ზემო წელზე და შემდეგ სამხრეთისაკენ, უაზის ზემოწელამდე. ჯავშანნაწილებს მიჰყვებიან გერმანიის ქვეითი დივიზიები. ტყვედ წამოვიყვანეთ მრავალი ფრანგი. გარდა ამისა, ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა. სედანის სამხრეთით გერმანიის ჯარმა ახალი რაიონები დაიკავა. გერმანიის ავიაციამ ბელგიასა და საფრანგეთში ყუმბარა დაუშინა უმთავრესად ზურგის კომუნიკაციებს და გზატკეცილს, რომლითაც უკან იხევენ მტრის კოლონები. ამ თავდასხმების გავლენით მოწინააღმდეგის უკანდახევა ზოგან გაქცევად გადაიქცა. ჰოლანდია-ბელგიის სანაპიროსთან ჩაძირულ იქნა მტრის საესკადრო ნაღმოსანი.

დღის განმავლობაში მტერმა დაჰკარგა 108 თვითმფრინავი, მათ შორის 53 მოსპობილი იქნა საჰაერო ბრძოლის დროს, 11 ჩამოაგდო საზენიტო არტილერიამ, დანარჩენი კი განადგურებულ იქნა აეროდრომებზე. გერმანიის 26 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

მტერი ჰაერიდან თავს დაესხა ჩრდილოეთ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებს, კერძოდ, ჰამბურგსა და ბრემენს, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის რაიონებს. როგორც ყველა უწინდელი თავდასხმის დროს, ახლაც მტერი ყუმბარას უშენდა არასამხედრო მნიშვნელობის ობიექტებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ყაზარმას. გერმანიის სარდლობა ამას ხაზგასმით აღნიშნავს აქედან გამომდინარე შედეგების გამო.

გერმანიის გემებმა დანაღმეს წყლები სამხრეთ აფრიკის ნავსადგურების მახლობლად, რომლებიც მტრის სამხედრო-საზღვაო ძალების დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ.

ნარვიკის სანაპიროსთან ყუმბარები დავუშინეთ მტრის ჯარის ნაწილებს, რომლებიც ნაპირზე გადადიოდნენ. ამასთანავე დიდი ყალიბის ყუმბარები დავაყარეთ მძიმე კრეისერსა და დიდ ტრანსპორტს“.

ბერლინი, 17 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას: „17 მაისს დილით გერმანიის ესკადრილიამ, რომელიც შესდგებოდა „მესერშმიდტის“ ტიპის 6 ავიაგამანადგურებლისაგან, ბელგიის ფრონტზე ჩამოაგდო ინგლისის „ბლენჰაიმის“ ტიპის 13 თვითმფრინავი. დიუნკერკის ნავსადგურში (საფრანგეთი) ჩაძირულია ერთი საესკადრო ნაღმოსანი. მძიმედ დაზიანებულია აგრეთვე კრეისერი და სავაჭრო გემი“.

გერმანიის ჯარმა დაიკავა მეჰელნი და ლუვენი

ბერლინი, 17 მაისი (საკდესი), როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, დიდი ბრძოლის შემდეგ გერმანიის ჯარმა გაარღვია დილის ხაზი ლუვენის ჩრდილოეთით და დაიკავა მეჰელნი.

დღეს დაეცა ქალაქი ლუვენიც.

გერმანიის ჯარი ანტვერპენში შევიდა

ბერლინი, 18 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარმა ანტვერპენის სიმაგრეთა ხაზი გაარღვია და ქალაქში შევიდა.

გერმანიის ჯარი ბრიუსელში შევიდა

ბერლინი, 17 მაისი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: „ლუვენის სამხრეთით ინგლის-საფრანგეთის პოზიციების გარღვევის შემდეგ დღეს საღამოს გერმანიის ჯარი ბრიუსელში შევიდა“.

რიბენტროპმა მიიღო ალფიერი

ბერლინი, 18 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს დასავლეთ გერმანიის ერთერთ ქალაქში საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა მიიღო ბერლინში ახლად დანიშნული იტალიის ელჩი ალფიერი.

გერმანიის პრესა დასავლეთში წარმოებული საომარი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ

ბერლინი, 17 მაისი (საკდესი). დღეს გერმანიის გაზეთებმა დაბეჭდეს დასავლეთში წარმოებული საომარი მოქმედების მიმოხილვა. 7 დღის ოპერაციების შედეგებს პრესა შემდეგნაირად გვიხატავს: გერმანიის ფრონტის ახალი ხაზი ახლა ინგლისის ნაპირების მახლობლად გადის. ომი უშუალოდ მიუახლოვდა ინგლისის ტერიტორიის მიჯნას. ეს არის გერმანიის ახლანდელი მდგომარეობის არსებითი სტრატეგიული განსხვავება იმ მდგომარეობისაგან, რომელიც მას ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის დროს. ღია მარჯვენა ფლანგის ნაცვლად გერმანიას აქვს მტკიცე ფრონტი ჩრდილოეთ ნორვეგიამდე.

გერმანიის სამხედრო სარდლობის აზრით, ჰოლანდიის კაპიტულაციის შემდეგ ომი ახალ ფაზაში შევიდა. ბელგიაში დასავლეთის 3 სახელმწიფო სასტიკ წინააღმდეგობას უწევს გერმანიას ანტვერპენსა და ნამიურს შორის მდებარე უბანზე. ინგლის-საფრანგეთისა და ბელგიის ჯარები ძლიერ გამაგრებულ პოზიციებზე იმყოფებიან მდინარე დილის გაღმა, ბრიუსელიდან 25 კილომეტრის მანძილზე. ანტვერპენისა და ნამიურის სიმაგრეები მძლავრ საფლანგო საფარს ჰქმნიან მტრის წინააღმდეგობის ამ ხაზზე.

ამჟამად გადამწყვეტი ბრძოლა ჩაღდება ძირითადად ბრძოლის ორ ასპარეზზე, სახელდობრ: ბელგიაში — ანტვერპენის სიმაგრის რაიონში, მდინარე დილზე და ნამიურის სიმაგრის რაიონში; საფრანგეთში — მდინარე მაასზე, სედანთან.

საარის ფრონტზე, სადაც ოპერაციები მხოლოდ ახლა იწყება, საომარი მოქმედების მესამე ასპარეზის მნიშვნელობა, ჯერ გარკვეული არ არის, მაგრამ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობებიდან სჩანს, რომ გერმანიის ჯარის წინსვლას მოზელსა და რეინს შორის მდებარე პოზიციებზე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რაიონში შემდგომი ბრძოლის განვითარებისათვის.

ჰოლანდიასა და ბელგიაში მომხდარი ამბების გამო

ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიაზე წარმოებული საომარი მოქმედებით იწყება მეორე იმპერიალისტური ომის ახალი ეტაპი. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ომი ახლა უფრო მწვავე ფაზაში შევიდა. ინგლის-საფრანგეთის ბლოკი ომის დაწყების მომენტიდანვე გაძლიერებით ეძებდა საომარი მოქმედების ახალ ასპარეზებს. ამ ბლოკის ცდა—გამოეყენებინა სკანდინავიის პლაცდარმი ჩრდილოეთის ფლანგიდან გერმანიაზე იერიშის მისატანად—ჩაიშალა. გერმანიამ დაასწრო მოკავშირეებს. ინგლისისა და საფრანგეთის მიერ ნორვეგიის ნეიტრალიტეტის დარღვევას მან იმით უპასუხა, რომ დაიკავა დანია და ნორვეგიის უდიდესი სტრატეგიული ნავსადგურები. მოკავშირეთა დესანტებმა ნორვეგიაში დამარცხება განიცადეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მხოლოდ ნარვიკის რაიონში ჯერ კიდევ სწარმოებს ბრძოლა.

ამის შედეგად გერმანიამ ხელთ გდო ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიციები. გერმანიის ავიაციამ საფრთხე შეუქმნა ინგლისის უდიდეს სამხედრო-საზღვაო ბაზებს: ფერტ-ოფ-ფორტს, სკაპა-ფლოუსა და სხვ.

გერმანიის მთავრობის მემორანდუმში, რომელიც ბელგიისა და ჰოლანდიის მთავრობებს 10 მაისს გადაეცა, ნათქვამი იყო, რომ მოკავშირეები ამ მთავრობების დახმარებით ემზადებოდნენ დაეწყოთ შეტევა გერმანიაზე, კერძოდ რურის ოლქზე, ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიაზე გავლით. 10 მაისს გერმანიის ჯარმა გადალახა ჰოლანდიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის საზღვრები. 12 მაისს საღამოსათვის გერმანიის ჯარი მიუახლოვდა ბელგიის გამაგრებულ ქალაქს—ლიეჟს.

იმავდროულად ჰოლანდიისა და ბელგიის უმნიშვნელოვანეს პუნქტებში გადასხეს გერმანიის მრავალრიცხოვანი საპარაშუტო დესანტები. ავიაციისა და ხმელეთზე მოქმედი ჯარის კოორდინირებული მოქმედების შედეგად გერმანიის არმიამ ხუთი დღის განმავლობაში მოახდინა ჰოლანდიის ტერიტორიის თითქმის ორი მესამედი ნაწილის ოკუპაცია. ამის შემდეგ ჰოლანდიის სამხედრო სარდლობამ კაპიტულაცია გამოაცხადა. მოკავშირეთა ჯარებსა და გერმანიის არმიებს შორის საომარი მოქმედება ამჟამად გრძელდება გამაგრებული ხაზების რაიონში ბელგიისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე.

უცხოეთის სამხედრო მიმომხილველთა აზრით, საფრანგეთის სიმაგრეთა ხაზის ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენს სწორედ ბელგიის საზღვართან მდებარე უბანი; სწორედ აქ გაარღვიეს გერმანელებმა ეს ხაზი. ამერიკის პრესა ამტკიცებს, რომ ბელგიაში გერმანიის არმიების შეტევა მიზნად ისახავს წაიწიოს საფრანგეთის ჩრდილო-სანაპიროზე, რათა მოსწყვიტოს საფრანგეთი ინგლისს და ცალცალკე დაამარცხოს თვითეული მოწინააღმდეგე. ჰოლანდიისა და ბელგიის დაკავებას შეუძლია გერმანიას მისცეს ახალი ძალიან მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები ინგლისზე საჰაერო თავდასხმისათვის.

ბელგიისა და ჰოლანდიის სანაპირო ინგლისიდან მცირე მანძილზე მდებარეობს. ბელგიის ნავსადგური ოსტენდე ლონდონიდან სულ 212 კილომეტრ მანძილზე მდებარეობს.

ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიებზე გერმანიის აეროდრომების მოწყობას შეუძლია გერმანიის ავიაციის მასობრივი თავდასხმის საფრთხე შეუქმნას ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის ყველა ნავსადგურს, აგრეთვე ინგლისის დედაქალაქს—ლონდონსა და მნიშვნელოვან სამხედრო-სამრეწველო ცენტრებს, ლონდონის რაიონის, ბირმინჰამისა და სხვ. ჩათვლით. ჯერ კიდევ ნაპოლეონი ამბობდა, რომ ბელგიისა და ჰოლანდიის სანაპიროს დაკავება ინგლისისადმი მტრულად განწყობილი რომელიმე სახელმწიფოს მიერ იგივე იქნებოდა, რომ „ინგლისისათვის საფეთქელზე დამბაჩის ლულა მიედოთ“. ავიაციის გამოჩენის შემდეგ ნაპოლეონის ეს სიტყვები კიდევ უფრო მეტი ძალით გაისმის.

ამასთან ერთად არ უნდა გამოვიჩინოთ იმ ეკონომიური ზარალის მნიშვნელობის შეუფასებლობაც, რასაც ინგლისსა და საფრანგეთს აყენებს საომარი მოქმედების გაჩაღება ბელგიის ტერიტორიაზე და ჰოლანდიის ოკუპაცია გერმანელთა მიერ. ორივე ეს ქვეყანა უაღრესად განვითარებული ქვეყანაა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მხრივ. დანიასთან ერთად ჰოლანდია ინგლისის „ხორცისა და რძის ფერმას“ წარმოადგენს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვით უზრუნველყოფის მხრივ ჰოლანდიას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. სოფლის მეურნეობის მხრივ ბელგია რამდენადმე ჩამორჩება ჰოლანდიას, მაგრამ ამ ქვეყანაშიც იყო 1937 წელს 1.710 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 860 ათასზე მეტი სული ღორი, 264 ათასი ცხენი. ბელგია უაღრესად განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. აქ წელიწადში იღებენ დაახლოებით 30 მილიონ ტონა ქვანახშირს, ამზადებენ დაახლოებით 2,5 მილიონ ტონა თუჯსა და 5 მილიონ ტონაზე მეტ ყველა ხარისხის ფოლადს. ბოლოს, ორივე ამ ქვეყანას მოეპოვება დიდი სამხედრო ქარხნები. ფოკერის საავიაციო ფირმა ჰოლანდიაში მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ფირმაა. ბელგიაში არის ყუმბარებისა და ვაზნების ქარხნები, ავტომატური იარაღის ქარხნები.

ბელგიის ტერიტორიაზე წარმოებული საომარი მოქმედებისა და გერმანიის ჯარის მიერ ჰოლანდიის ოკუპაციის შედეგად, ინგლისი და საფრანგეთი ჰკარგავენ არა მარტო მნიშვნელოვან ეკონომიურ რესურსებს (ბელგიის ქვანახშირი, ბელგიის ქსოვილები, ჰოლანდიის სასურსათო რესურსები), არამედ ჰკარგავენ პროდუქციის გასასაღებელ ძალიან მნიშვნელოვან ბაზრებსაც, რასაც, უეჭველია, არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს მოკავშირეთა ფინანსიური მდგომარეობის შემდგომ გაუარესებაზე.

○

დასავლეთ ევროპაში მომხდარი უკანასკნელი ამბები ერთხელ კიდევ ააშკარავებენ ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ბლოკის ტაქტიკას. ეს ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მეტი ქვეყნები ჩააბან ომში თავიანთ მხარეზე და მტრის დარტყმა მათკენ მიმართონ. ინგლისი და საფრანგეთი მცირე სახელმწიფოებს უყურებენ, როგორც „ხურდა ფულს“ იმპერიალისტურ თამაშში. ჩააბეს რა ომში ჰოლანდიისა და ბელგიის ხალხები, მოკავშირეებს სრულიადაც არ უზრუნვიათ იმისათვის, რომ რაიმე სერიოზული დახმარება გაეწიათ ამ ქვეყნებისათვის. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს უნდათ სხვისი ხელით ჰგლიჯონ ნარი. ამ თვალსაზრისით, დასავლეთში მომხდარი ამბები უაღრესად საგულისხმოა იმ მცირე სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც, იმედი აქვთ რა ინგლის-საფრანგეთის „გარანტიებისა“, ომის ცეცხლს ეთამაშებიან. მათთვის ასეთი პოლიტიკა თვითმკვლელობას მოასწავებს. ის, რაც ნორვეგიასა და ჰოლანდიაში მოხდა, ახალი სერიოზული გაკვეთილი უნდა იქნეს ზოგიერთი ქვეყნისათვის ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში, იქ, სადაც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები ამჟამად ცდილობენ შეჰქმნან ომის ახალი კერები.

გ. ეგოროვი.

ბელგიის კომუნიკე

პარიზი, 17 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს ბელგიის შემდეგ ცნობას 16 მაისის საომარი მოქმედების შესახებ: „ანტვერპენის ჩრდილოეთითა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში გერმანიის საპატრულო რაზმები ჩვენს პოზიციებს მოადგნენ. შემდეგ სამხრეთით, ჩვენი ჯარის მოქმედების შედეგად, მარცხით დამთავრდა გერმანიის ქვეითი ჯარის ნაწილების რამდენიმე ადგილობრივი იერიში. ცენტრალურ ბელგიაში, იმ რაიონებში, რომლებიც მოკავშირეებს უჭირავთ, ძლიერი ბრძოლა სწარმოებს“.

საომარი მოქმედება დასავლეთის ფრონტზე

პარიზი, 18 მაისი (საკდესი). გუშინ საღამოს გამოქვეყნდა საფრანგეთის ოფიციალური კომუნიკე, რომელშიაც ნათქვამია: „დღეს გერმანელებმა მასობრივი იერიშები მიიტანეს არა მარტო ბელგიაში, არამედ ვერვენის რაიონშიც (საფრანგეთში). ამ იერიშების დროს მტერმა თავისი მძიმე სატანკო დივიზიების დიდი ნაწილი გამოიყენა. ომმა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლის ხასიათი მიიღო. აღმოსავლეთისაკენ მტერმა უშედეგო იერიში მიიტანა სედანისა და მონმედის რაიონზე. ჩვენი ავიაცია ინგლისის ავიაციასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით განაგრძობდა თავის ოპერაციებს ხმელეთზე მოქმედ მტრის ჯარისა და სარკინიგზო კვანძების წინააღმდეგ“.

დღევანდელი დილის კომუნიკეში ნათქვამია: „ბრძოლა კვლავ გაფთრებით სწარმოებს იმ რაიონებში, რომლებიც აღნიშნულია გუშინდელ კომუნიკეში“. კომუნიკეში ნათქვამია, რომ „მოკავშირეთა ჯარებმა ბრიუსელიდან დასავლეთისაკენ დაიხიეს“.

მდგომარეობა ეგვიპტეში

ნიუ-იორკი, 17 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ეგვიპტის მთავრობამ, ხმელთაშუა ზღვაზე ომის გავრცელების შიშით, ხელი აიღო იმ განზრახვაზე, რომ მთავრობა საზაფხულოდ კაიროდან ალექსანდრიაში გადასულიყო.

თბილისის რკინიგზის საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები (მარცხნიდან): **ვ. მიქაელიანი, ი. გერასიმოვი, ჰ. ელფიმოვა** ნორჩი ნატურალისტის კაბინეტში. ფოტო კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავი

22-23 ივნისს შესდგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო პლენუმი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო პლენუმის დღის წესრიგი. პლენუმი შესდგება 22-23 ივნისს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმთან ერთად.

პლენუმზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი: „აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა“ — **შ. რადიანი,** „აკაკი წერეთლის პოეზია“— **პ. ინგოროყვა,** „აკაკი წერეთელი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატი“ — **ლ. ასათიანი,** „აკაკი წერეთელი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ — **ა. მაშაშვილი,** „აკაკი წერეთელი და ახალი ქართული ლიტერატურული ენა“ — **გ. ლეონიძე,** „აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა თარგმანები“.

პლენუმზე სიტყვას წარმოსთქვამენ: **ა. ფადეევი, ა. ტოლსტოი, ვ. გოლცევი, ნ. ტიხონოვი, მ. ბაჟანი, ი. კუპალა, შ. დადიანი, გ. ტაბიძე, ა. ვასაძე, ს. ჩიქოვანი, ს. ეული, ლ. ქიაჩელი, ი. მოსაშვილი, დ. შენგელაია, კ. გამსახურდია, გ. ჩხიკვაძე,** პროფ. **ლ. მელიქსეთბეგი** და სხვ.

თბილისის თეატრების ახალი დადგმები

სეზონის დახურვამდე თბილისის თეატრები მთელ რიგ ახალ დადგმებს უჩვენებენ მაყურებლებს.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი მორიგ პრემიერად სდგამს კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის „მთების გულს“. დადგმა ეკუთვნის ბალეტმეისტერ ს. სერგეევს.

რუსთაველის სახელობის თეატრი მუშაობს ს. შანშიაშვილის ისტორიულ დრამაზე „გიორგი სააკაძეზე“ (რეჟისორი კ. პატარიძე). მარჯანიშვილის სახელობის თეატრი სეზონის დამლევამდე დასდგამს სამ პრემიერას დ. ანთაძისა და ა. სამსონიას პიესას „ანრი საერს“, ნ. მიქავას და გ. აბაშიძის პიესას „ბედნიერებას“ და ქართველი კლასიკოსის ლ. არდაზიანის მოთხრობის „სოლომონ მეჯღანუაშვილის“ ინსცენირებას (ინსცენირება ვ. ტაბლიაშვილისა).

გრიბოედოვის სახელობის თეატრი სდგამს ვიქტორ ჰიუგოს პიესას „ერნანის“, ხოლო სომხური დრამის სახელმწიფო თეატრი ტ. ახუმიანის პიესას „ხალხის მტერს“.

აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი სდგამს აკაკი წერეთლის დრამატიულ პოემას „პატარა კახს“.

თეატრალური სეზონი თბილისში დამთავრდება 15 ივლისისათვის.

სეზონის დახურვის შემდეგ გრიბოედოვის სახელობის თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრება ბათუმსა და ქუთაისს, აზერბაიჯანის თეატრი საგასტროლოდ იმოგზაურებს ახალციხეში, ადიგენში, ლაგოდეხსა და ლუქსემბურგში, ხოლო მუსიკალური კომედიის თეატრი დასავლეთ საქართველოს რაიონებში (ქუთაისი, აბაშა, სამტრედია, წულუკიძე და სხვ.).

კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია

17 მაისს გაიხსნა საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის მეორე სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. კონფერენცია მიძღვნილია **ამხანაგ სტალინის** მიერ კრემლში 1938 წლის 17 მაისს უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე წარმოთქმული სიტყვის ორი წლისთავისადმი. კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში დიდი ოვაციით აირჩია პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ხალხთა საყვარელი **ბელადის,** მოწინავე მეცნიერების დიდი მომამაგის ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით. საპატიო პრეზიდიუმში აგრეთვე არჩეულ იქნენ ამხანაგები კ. ჩარკვიანი და ვ. ბაქრაძე.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს,** აგრეთვე ამხანაგებს **მოლოტოვს, ბერიას და კაფტანოვს.**

სტალინის სიტყვის ისტორიული მნიშვნელობისა და მის საფუძველზე ინსტიტუტში წარმოებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. არ. ბოჯგუამ. კონფერენციის ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებანი პროფ. ა. ჯანელიძისა—იურული ოროგენეტიური ფაზისები დასავლეთ საქართველოში და ფაზისების დადგენისა და დათარიღების მეთოდი და პროფ. მ. მაჭავარიანისა—არქიტექტურის საკითხებზე.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნება 80-მდე მოხსენება ტექნიკური მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე. კონფერენცია მუშაობას დაამთავრებს 22 მაისს.

მზადება მესამე ხუთწლედის მეორე წლის გამოშვების სესხის საბოლოო ანგარიშსწორებისათვის

მაისის ბოლოს მთავრდება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის მეორე წლის გამოშვების სესხის საბოლოო ანგარიშსწორება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შემნახველი სალაროები მაის-ივნისში ჩაატარებენ სესხზე ხელისმომწერთა და მეანაბრეთა სპეციალურ დღეს, რომელიც თბილისში უკვე დაიწყო.

სესხზე ხელისმომწერთა და მეანაბრეთა დღის მიზანია სესხის ანგარიშსწორების დამთავრების შემოწმება, მოგებათა გასინჯვის ორგანიზაცია, სესხის დამხმარე კომისიებისა და სოფლის საბჭოების რწმუნებულთა (სესხის გავრცელების საქმეში) მუშაობის შემოწმება.

რაიონებში ამასთანავე ჩატარდება საწარმოთა და დაწესებულებათა მთავარი ბუღალტრების, სესხის დამხმარე კომისიის წევრების, სახლთმმართველების, საფინანსო აგენტებისა და სოფლის შემნახველ სალაროთა კონტროლიორების თათბირები სესხზე ხელისმომწერლებთან ანგარიშსწორების წარმატებით ჩატარების საკითხებზე.

საწარმოთა და დაწესებულებათა მთავარი ბუღალტრები ვალდებული არიან შემნახველი სალაროებიდან თავის დროზე მიიღონ ხელისმომწერლებზე გასაცემი ობლიგაციები. სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის დამხმარე კომისიებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ ხელმომწერლებს დროზე ჩაჰბარდეს ობლიგაციები.

საწარმოებსა და დაწესებულებებში არსებული სესხის დამხმარე კომისიები ვალდებული არიან სახლში მიუტანონ ობლიგაციები იმ ხელმომწერლებს, რომლებიც დროებით არ იმყოფებიან მუშაობის ადგილას ავადმყოფობის, შვებულების ან ხანგრძლივი მივლინების გამო. იმ ხელმომწერლებს კი, რომლებიც სხვა რაიონში არიან სამუშაოდ გადაყვანილნი, ობლიგაციები დაუგვიანებლად უნდა გაეგზავნოთ ფოსტით.

აკაკი წერეთლის [illegible] ნაწარმოებები უცხო ენებზე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შენახულია საფრანგეთში და ინგლისში გამოცემული რამდენიმე წიგნი, რომლებშიც ნათარგმნია აკაკი წერეთლის ლექსები, პოემების ნაწყვეტები და მოყვანილია ცნობები აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ.

აკაკი წერეთელი მოხსენებული ჰყავს თავის წიგნში: „საქართველოს სამეფო“ ინგლისელ მოგზაურს ოლივერ უორდროპს, რომელიც კარგად ახასიათებს აკაკი წერეთელს, როგორც ქართველ პოეტ-ლირიკოსს და მოჰყავს ციტატები აკაკის ლექსებიდან.

1900 წელს არტურ ლაისტმა გერმანულ ენაზე სთარგმნა და გამოსცა ქართველი მწერლების ზოგიერთი ნაწარმოები. წიგნში დაბეჭდილია აკაკი წერეთლის 16 ლექსი („ნატვრა“, „გაბრწყინდი ჩემო კანდელო“, „სად ხარ ჩემო სალამურო“, „ნეტავი ჩიტად მაქცია“, „სიმღერა მკის დროს“, „გაზაფხული“, „საყვარლისა ეშხითა ღვინო დამილევია“, „სხვადასხვა გვარი სიყვარული“, „გედის სიმღერა“, „მინდვრად დამხვდა თეთრი ქვა“, „საყვარელს“ და ნაწყვეტები „თამარ ცბიერიდან“).

ამავე წელს პარიზში მ. ხახანაშვილმა ფრანგულ ენაზე გამოსცა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მოკლე კურსი. ამ წიგნშიც აკაკი წერეთლის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

1902 წელს ბარონ ბაიმ პარიზში ფრანგულად გამოსცა წიგნი „იმერეთში“. წიგნის მეთოთხმეტე გვერდზე მოთავსებულია აკაკი წერეთლის სურათი, იქვეა მოყვანილი მისი დახასიათება.

1910 წელს მოგზაურმა ქალმა როჰანმა პარიზში გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც მოხსენებულია აკაკი წერეთელი, როგორც ქართველი ხალხის მოწინავე პოეტი.

ამას წინათ თბილისში მიიღეს ფლამანდიულ ენაზე 1940 წლის მარტში გამოცემული ჟურნალი, სადაც მოთავსებულია აკაკი წერეთლის ლექსის „სულიკოს“ თარგმანი ფლამანდიულ ენაზე.

დოც. ი. გვარჯალაძე.

მსოფლიოს საბჭოთა დიდი ატლასი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარმა სამმართველომ დაამთავრა მსოფლიოს საბჭოთა დიდი ატლასის მესამე ტომის გეგმის შედგენა. ამ ტომით დამთავრდება კაპიტალური გეოგრაფიული ნაშრომი, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოში. უკვე ამუშავებენ მესამე ტომს. ამ ტომში იქნება 170-ზე მეტი გვერდი. ეს გვერდები შეიცავენ მატერიკებისა და უცხო სახელმწიფოების სამიმოსვლო, ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ, ეკონომიურ და ისტორიულ რუკებს. ამ რუკების შესადგენად იყენებენ უახლეს მასალებს (საკდესი).

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს“ გამარჯვება

18 მაისს თბილისის ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა საჩემპიონო გუნდების მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

ამ გუნდების შეხვედრა დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა. მატჩს 40.000-მდე მაყურებელი დაესწრო.

თამაში თბილისელების ინიციატივით დაიწყო. მათი თავდამსხმელები ხშირად უახლოვდებოდნენ სტუმრების კარს და სახიფათო მომენტებს ჰქმნიდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელების მარჯვენა გარემარბი თ. გაგუშელი, რომელმაც ამ შეხვედრის თამაშის მაღალი კლასი გამოავლინა. შეოცდაათე წუთზე მან მოხერხებულად გაიტაცა ბურთი, მოატყუა მცველები და შესძლო ბურთის გატანა სტუმრების კარში.

მეორე ტაიმში მოსკოველები ყოველმხრივ ცდილობდნენ ანგარიშის გაქვითვას, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს და, ამრიგად, მატჩი თბილისელების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 1:0.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „ჩიო-ჩიო-სან“ (4 აბ. 14 წარმ.), **რუსთაველის** სახელობის — „გრაფის ქვრივი“, **მარჯანიშვილის** სახელობის — „ყვარყვარე თუთაბერი“, **გრიბოედოვის** სახელობის — „საშინელი სამსჯავრო“.

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **ოქტომბერი** — „ჩაიკოვსკი“, **დამკვრელი**—„ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **კომკავშირელი** — „კენდლილიარ“, **ლუქსემბურგის** სახ. — „კენდლილიარ“, **26 კომ.** სახ. — „სოროჩინის ბაზრობა“, **კომინტერნი** — „მეთაურის ახალგაზრდობა“, **ორჯონიკიძის** სახ. პარკი—„ცეცხლის წლები“, **ახალი ამბები** — „როზა და რაფაელი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სსრ განსახკომი აცხადებს, რომ საექსტერნო გამოცდები საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში ჩატარდება თბილისის პირველ სკოლაში

გამოცდები დაიწყება 5 ივნისს და გაგრძელდება 25 ივნისამდე.

განცხადებების მიღება იწარმოებს სკოლის (სახკომსაბჭოს ქ. № 2) კანცელარიაში ყოველდღე 20 მაისიდან 1 ივნისამდე დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: განათლების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და 2 შემოწმებული ფოტოსურათი.

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე განსახკომის საშ. სკოლების სამმართვ. უფროსი შ. ბზიკაძე.

40

ქარხანა „თბილისის ცენტროლიტი“ აწარმოებს შავი და ფერადი ლითონების ნიმუშთა სრულ გამოცდას:

ქიმიური ანალიზი, სიმაგრის განსაზღვრა, ლუნვადობის, კუმშვადობისა და წყვეტადობის გამოცდა (ტვირთით 5 ტონამდე), რენტგენური გაშუქება (50 მმ-მდე), აგრეთვე მეტალოგრაფიული გამოკვლევა და მიკროგადაღებათა წარმოება.

დაკვეთები სრულდება სწრაფად.

მიმართეთ: ა.-კ. რკინიგზის სად. ავჭალა, ქარხანა „ცენტროლიტი“.

1038 **დირექცია.**

საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი
ტრესტი „საქართველოს ლუდი და ლიმონადი“
გასაყიდად უშვებს ხელოვნურ მინერალურ ზელტერის წყალს.

ზელტერის წყალი კარგ გავლენას ახდენს ადამიანის როგორც ჯანსაღ, ისე ავადმყოფ ორგანიზმზე.

0,5 ლიტრ ზელტერის წყლის საცალო ფასია 40 კაპ. ტარის ღირებულების გარდა, კაფე-რესტორანებისათვის—50 კაპ.

მოითხოვეთ ყველგან ტრესტ „საქართველოს ლუდი და ლიმონადის“ ზელტერის წყალი. 556

ლექტორიუმის დირექცია აცხადებს, რომ პროფ. მ. გოგიბერიძის მორიგი ლექცია
თემაზე „ისტორიული მატერიალიზმი, როგორც მეცნიერება“, დანიშნული 20 მაისს, ჩატარდება 26 მაისს სად. 8 საათზე საქ. მუზეუმის სალექციო დარბაზში. 150

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1940 წ. **15 ივნისს, დღის 2 საათზე,** სოც-ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12), დანიშნულია სამედ. ინსტიტ. საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც დ. ბ. ჯანდაცვის სამეცნ. კვლევითი ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელი ექ. **ვასილ გიორგის-ძე ჩახავა** მედ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საკვერცხეების გავლენა ქოლესტერინის და ქოლესტერინესტერის მაჩვენებლებზე სისხლში“.** ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **შუშანია** და პროფ. **აბულაძე.**

21 ივნისს დღის 2 საათზე, იმავე აუდიტორიაში იმავე ხარისხის მოსაპოვებლად საველე ქირურგიის კურსის ასისტენტი ექ. **ელიზბარ გრიგოლის-ძე ქურდიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ართროგრიპოზის საკითხისათვის“.** ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ზაქარაია** და დოც. **ფიფია.**

27 ივნისს საღამოს 8 საათზე, იმავე აუდიტორიაში მედიცინის მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას მედ. მეცნ. კანდიდატი **შალვა რუბენის-ძე თოფურია** თემაზე: **„მასალები ძუძუმწოვართა ძვლის ტვინის ერითროპოეზის შესახებ“.** ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ვორონინი,** პროფ. **საყვარელიძე** და პროფ. **მახვილაძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში—(ლუნაჩარსკის ქ. № 12).

74 **დირექცია.**

თანახმად საერთო კრების ა. წ. 14 მაისის დადგენილებისა (ოქმი № 5), ხდება არტელ „თევზის“

ლიკვიდაცია.

ყოველგვარი პრეტენზიები ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან მიიღება ა. წ. 28 მაისამდე.

ლიკვიდკომის მისამართი: თბილისი, ა. წერეთლის ქ. № 23.

6384 **ლიკვიდკომი.**

დაკარგულია წალენჯიხის არტელ „ოლორის“ მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ. 6416

მშობლები ნადია, დათიკო ნაცვლიშვილები, ბებიები მართა და კალმანი, ბაბუა ესტატე, ბიძები, მამიდები, დეიდები იუწყებიან **პატარა მზიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ბაში 21/V (სამტრედიის რ.). 6411

მშობლები იორდანე, ანა, დები თამარ, კლავდია, შურა, ბიძები ისაკი, აკაკი, ნევრო ცოლშვილით, მამიდები ქამიტო, ლიდა, ელენე იუწყებიან **მიტუშა დარჩიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ჩიბათში 21/V. 6412

მშობლები სოლიკო, ნატო, ლიზა, გიორგი, ეთერ, იოსებ, შაქრია, ნიკა, მარო იაკობიშვილები, ვ. დოლენჯაშვილი იუწყებიან **ირაკლი სოლომონის-ძე იაკობიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/V გურჯაანში. 6413

მშობლები მიტუშა, სონა, დები ლამარა, ირა, ბიძა ოთარ მეუღლით მაროთი, შვილებით ნათელათი და გოგით იუწყებიან **სვეტლანა ლამბაშიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21/V 6 ს. ქ. ზესტაფონში ფეროდან. 6414

შ. კვირიკაძე, შ. ხუბუა, გ. ბზიავა, კ. ჩხაიძე, თ. ჩიქოვანი, ნ. ნაცვლიშვილი, ა. აროშიძე, გ. ხაბურზანია, გ. თანდილაშვილი, ი. დათუაშვილი იუწყებიან მეგობრის **სიმონ ივანეს-ძე სამსონიას** გარდაცვალებას. 6362

დედამთილი ივლიტა ვაჩნაძე შვილებით მაროთი, ბაბულიათი, ალექსანდრეთი, დათიკოთი, გოგით, სამსონით, რძლებით, შვილიშვილებით, მულით ტერეზით იუწყება **ნინო ვაჩნაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 20/V 5 ს. ლერმონტოვის, 25. 6407

დედა ლიზა, ცოლი ანიკო, შვილები ეთერ, ოთარ, და თამარ, ძმა დავით ცოლით ნინოთი, შვილით შოთათი, სიძე რ. სარაჯოვი იუწყებიან **შალიკო (შაქრო) მანველიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/V 7 ს. მარტყოფის, 16. დაკრძალვა 21/V 5 ს. 6408

დედა ლეონიდა თამაზის-ასული იაკობაშვილი შვილებით, შვილიშვილებით და სიძეებით იუწყება დაუვიწყარ **ელპიდას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21/V 7 ს. გამოსვენება 22/V 6 ს. კოლხიდის, 27. 6409

ქმარი ბესარიონ ნოეს-ძე ჩიგოგიძე იუწყება დაუვიწყარ **ელპიდა ლეონტის-ასულ იაკობაშვილი-ჩიგოგიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21/V 6 ს. გამოსვენება 22/V 6 ს. კოლხიდის, 27. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 6410

მშობლები შურა, ვერიკო, ბაბუები ნინო, ვარინკა, პაპა ბოლდა, ძმა ირაკლი, ბიძები ტიგრან, გიგო იუწყებიან დაუვიწყარ **გივიკო ხუციშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20/V 7 ს. გამოსვენება 21/V 6 ს. 6418

დედა დომნა, და ხორია შვილებით დალით, თამაზით, ძმისწული გურამ იუწყებიან დაუვიწყარ **გივი ელეფთერის-ძე მელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/V მათხოჯში. 6402

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის აკად. ნ. მარის სახ. ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ჯავე როგავას მამის **ბესარიონის** გარდაცვალებას. 6403

შვილები ინდიკო, თინა, ნათელა, ეთერ, ძმები ავთანდილ, ტარიელ კობახიძეები ცოლშვილით იუწყებიან საყვარელ **ამირან შარვანის-ძე კობახიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ხეთაში (ხობის რ.). 6404

ქმარი პეტრე, დედა ტერეზია, შვილი ლილი, ძმები ანდრო, ჯაბა, სიმონ, რძლები ნათელა, ქსენია, ლოლა ქოიავები იუწყებიან **მანუცა ქოიავა-კილასონიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 21/V 5 ს. დურგლის, 25. 6405

ცოლი სონია, ქალიშვილი ფაცო, ძმები ვანიჩკა, საშა, რძლები მარო, მაშო შვილებით იუწყებიან **მიხეილ ნიკოლოზის-ძე ჭელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. გორთაში 19/V. 6406

ყრუ-მუნჯთა სკოლის მთლიანი კოლექტივი იუწყება ამავე სკოლის მასწავლებელ თამარ ჭიჭინაძის დედის **სიდონია (სიდო) გიორგის-ასულ ჭიჭინაძის** გარდაცვალებას. 6415

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1419